



გაზეთი გაეოღის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediasmacne@gmail.com

მაცნე

სამტრედიის

N19 (9306)

10 ივლისი, 2019 წელი

ფასი 50 თეთრი

სხვადასხვაში დაღა უვიღს ვერ აიყვანდა

2

დაიოკეთ ნეწეზი!..
ნე იღანძღეზით,
იყავით
კონექტეზი!..



3



2

გაღანძღიან სოფღეზს წყღის
ჰროზღეზას გაღეჭღინან

149-ე დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ძალაქო!

“ოღუღიღასღიან” ეღღიან
გაბღარეღული 25 წეღი

8

7 ფეღადღა ოსწეზაღ ფეღადღი
ფანქეღეზით...

ღავიღსუღღეზა ჯეღ უღღეზ ასწავღღო
ღე ზეღღეღეზ მიღსღე

5



4

მსახიოღეზე მსახიოღეზის გარეღეღე

სხვადასხვაში დღეა შვილს ვერ აიყვანდა



თბა გავსაზრდო

საკრებულოს ბოლოს წინა სხდომა, საკითხთა სიუხვით რომ გამოირჩეოდა, უკანასკნელი საკითხის განხილვამდე უჩვეულოდ წინარად ჩატარდა. ოპოზიციამ განხილვაში მონაწილეობა არ მიიღო. და იმიტომ, რომ სხვადასხვაში განსახილველად გადაიტანეს საკითხი, რომელიც მათ დააყენეს დღის წესრიგში. თუმცა ხმაური მოსათუღად მის დასაწყისში მცირე დროით მაინც იყო. ავთანდ-

ილ სტურუამ “ვეროპული საქართველოდან” სხდომის დასაწყისშივე ითხოვა ნებართვა დარბაზის დატოვების თაობაზე. მის რიტორიულ შეკითხვაზე, “უფლება არ გვაქვს საკითხი დავაყენოთ?!” დეპუტატ ბადრი შენგელიასგან პასუხად მიიღო – “არ გაქვენ! ყველგან არიეთ ყველაფერი!” და სანამ ავთანდილ სტ-



ურუამ პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა, ბადრი შენგელიას “თუ მიდიოდი, რას მოდიოდი”, მას უკან მიეწია. გაღიზიანება სხდომის დაწყებამდე ეტყობოდათ დეპუტატებს. და ეს იმიტომ, რომ უკვე იცოდნენ, ოპოზიციამ იმ განცხადებაზე პასუხს, მელაურის თემში მერის წარმომადგენელმა რომ გააკეთა, სწორედ უმრავლესობისგან მოითხოვდა. უფრო ზუსტად, თანამდებობიდან სოფიო კიკაჩიშვილის გადაყენებას მოითხოვდა, როგორც ეს მსგავსი განცხადების გაკეთებისას ქუთაისის მერიაში მოხდა.

სოფიო კიკაჩიშვილის ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებასა და შემდეგ ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს ჟურნალისტის კითხვებზე გაცემულ პასუხებზე, არა მხოლოდ მთელი სამტრედიის საუბრობდა. თავად განცხადების აღრესატი ჯიუტად კვლავ იმ პოზიციას “აწევებოდა”, რასაც თავიდანვე აფიქსირებდა. სხდომის ბოლოს, “სხვადასხვადასთან” მისვლისას, სანამ ოპოზიციის საკითხზე საუბარს დაიწყებდა, უმრავლესობის წევრების უმრავლესობამ სიტყვებით – ჩვენც ხომ გვაქვს პროტესტის ნიშნად დარბაზის

დატოვების უფლება, სხდომა დატოვა. ოპოზიციას ისღა დარჩენოდა, დარჩენილ რამდენიმე დეპუტატსა და სხდომის თავმჯდომარე კობა ძიძიგურს შეტოვებულს ესაუბრათ ხმაურით სასაუბრო თემაზე. და როგორც იტყვიან, “დედა შეიღოს ვერ აიყვანს”, მაშინ დაიწყო ბევრ ხმაურ და ჩხუბამოვლილ საკრებულოს სხდომათა დარბაზში, როცა თავად “ცნობილი” პოსტისა და სიტყვების ავტორი მოვიდა. “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრ მამუკა ბიბილაძისგან და მას შორის გამართული საუბარი ტენორით დაიწყო და დასრულდა. უფრო სწორად, დარბაზიდან დერეფანში გადაინაცვლა. ჩამოთვლაც გაგვიჭირდება იმ ურთიერთბრალდებებისა, რაც იქ ისმოდა. უმრავლესობის განწყობა სოფიო კიკაჩიშვილის ემოციურობის გამო მის მხარდაჭერაში გამოიხატებოდა და ოპოზიციის მოთხოვნას მისი თანამდებობის დატოვების შესახებ, ყურით არ ათხოვდა. რადგან საკითხი არ დახურულა და მასზე საუბარი საკრებულოს მომდევნო სხდომაზეც გაგრძელდა, იმ დღისას მხოლოდ ამ მოკლე წერილით გეტყვით. ისე მოგვიწია, საკრებულოს ორივე სხდომა ამ ერთ ნომერში უნდა გავაშუქოთ. ამიტომ დანარჩენს მეორე წერილში წაივითხავთ.

ლაიოკით ნაჩვენაი!.. ნუ იღანძვრით, იყავით კორექტული!

ლევან გაგაჩინაძე

გეგმატო სხდომის ჩატარება! ამ ფრაზების გაგონება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ კობა ძიძიგურს, 5 ივლისს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე რამდენჯერმე, თანაც სმაძალია და ბრაზიანად მოუხდა. აშკარად იყო საჭიროება მსგავსი განცხადებებისა.

დღის წესრიგში განსახილველად მხოლოდ ორი საკითხი იყო, თუმცა, მას შემდეგ, რაც საკრებულოს წევრმა “ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან”, ბატონმა მამუკა ბიბილაძემ კითხვაზე, რატომ არაა საკრებულოს 5 ივლისის სხდომის დღის წესრიგში ფრაქციის მიერ შეტანილი განცხადება, რომელიც მელაურის თემში მერის წარმომადგენლის, სოფიო კიკაჩიშვილის დაკავებულ თანამდებობაზე ყოფნის შესაბამისობაზე მსჯელობას და შემდგომ რეაგირებას შეე-

ხებოდა, პასუხად მიიღო, რომ განცხადება საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ ნუგზარ ჯამბურაის სახელზეა დაწერილი და კუთვნილი შევხულებიდან ბატონი ნუგზარის გამოსვლის შემდეგ მის მიერ იქნება განხილული. ვითარება თანდათან დაიძაბა. ურთიერთშეუპოვებლობაში გადაიზარდა. მიუხედავად სხდომის თავმჯდომარის არაერთი თხოვნა-მიმართვისა, მხარეები არ ცხრებოდნენ... დარბაზში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სახლის დაცვის პოლიციის წარმომადგენლები შემოვიდნენ.

დარბაზს გარეთ კი ადმინისტრაციული სახლში განთავსებული სამსახურების თანამშრომლებს თვალის და ყური საკრებულოს დარბაზისაკენ პქონდათ მიპყრობილი.

ყველაფრის მიუხედავად, დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხს საკრებულომ კენჭი უყარა.

ცვლილება შევიდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის შესაბამის განკარგულებაში, რომელიც არაკომპეტენტული, არასამეწარმეო თურბილი პირის, სკოლაშვილი აღზრდის დაწესებულებათა

გაერთიანების 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას ეხება.

ცვლილება შევიდა აგრეთვე, საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის იმ დადგენილებაში, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას ეხება.

საკითხების ირგვლივ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ბატონმა ვაჟა სტურუამ მოახსენა.

დაპირისპირება, აშრთა სხვაობა პოლიტიკაში (მით უფრო, ქართულ რეალობაში) არახალი, ძველია, მაგრამ... მაგრამ იქამდე არ უნდა ავიდეთ, უფრო სწორად დავუშვათ, რომ ერთმანეთს ქვეყნის მტრები ვუწოდოთ, მაშინ, როცა ორივე მხარემ და ჩვენც (ამ წერილის ავტორმა) კარგად ვიცით, რომ არც ერთ მხარეს, რომლებიც ერთმანეთს 5 ივლისის საკრებულოს სხდომაზე დაუპირისპირდნენ, ქვეყნის ღალატი გულშიც კი არახილეს გაუვლიათ.

დაბოლოს, ქვეყანაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში იმდენი და იმდენი ხნის გადაუჭრელი პრობლემები, მოუგვარებელი საკითხებია, გაუთავებელი აყალბაყალბისა და დავიდარ-



აბის დრო ნამდვილად არაა. ჭკუას არავის ვასწავლით, მაგრამ აშკარად გასათვალისწინებელია, რომ საკრებულოს თითოეული წევრი ხალხის რჩეულია. რჩეულები კი, დიანაც რომ, გამოირჩევილები უნდა იყვნენ... (არა ჩხუბით).

ერთიც, ადამიანურად გავოცდით საკრებულოს იმ წევრთა ოლიმპიური სიმშვიდით, 5 ივლისის საკრებულოს რომ ესწრებოდნენ და... აუღელვებლად ადევნებდნენ თვალს დაპირისპირებულებს.

აშკარად გასცდა ჯანსაღი პოლემ-

იკის ზღვარს საკრებულოს ამ სხდომაზე განვითარებული მოვლენები.

სინანულით დავტოვე 5 ივლისის საკრებულოს სხდომის დარბაზი, რომელმე ამდენი ჩხუბი, ბრალდებები?... P.S.

როცა 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ჩვენი სასიქადულო მამულიშვილები შალვა ნუცუბიძე და ბენია ჩხაკვიშვილი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, საკანონმდებლო ორგანოს წევრმა ქალბატონებმა მოჩხუბართა შორის მანძილი ჩააგდეს...

მალაქითიან სოფლავს წყლის ზროზღეპას გაღაუჭრინან

ლევან გაგაჩინაძე

ივლისის ბოლო პარასკევი. ველოდით ტრადიციად ქცეულ შეხვედრას მშენებელ და საპროექტო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან, თუმცა, ამჯერად მუნიციპალიტეტის მერმა მედიის წარმომადგენლები თავისთან გვიანხლა და გენი გაღმა მალაქითიან სოფლებისაკენ ავიღეთ.

ჩვენთან ერთად იყვნენ მერის მოადგილე დავით ბახტაძე, აგრეთვე, წყალმომარაგების სისტემების მართვის კომპანიის წარმომადგენლები.

სულსმეშუთვეული სიტყვების შემდეგ მოსულმა არცთუ ხანგრძლივმა წვიმამ შეება აგრძობინა ყოველ სულდემულს.

იმ დღესაც წვიმდა.

ლამაზი სოფლებია ტოლები და საჯავახო. ზემო ტოლებისა და ჭოგნარისაკენ მიმავალი გზა გურული კრიმანჭულივით მიივლავება. მანქანიდან ხარბად ვათვალისწინებთ არემარეს. საოცარი სიმწვანე, მკვიდრად ნაგები სახლები, თუმცა, ერთი გავლითაც ემჩნევა არემარეს, ოჯახები ეულად რომ არიან შთენილი და ელიან პატრონს.

მძლავრი ფესვებით ჩასჭიდებიან მიწას მხრებგამოლილი ხეები, ძირებიდან მიწა რომ ჩამოშლიათ ბუნების დაუნდობლობისა და ჩვენი “ვაჟკაცობის” გამო.

მუნიციპალიტეტის მერი და ვიცე-მერი, წყალმომარაგების სისტემების მართვის კომპანიის წარმომადგენლები ტოლებისა და საჯავახოს ადმინისტრაციულ ერთეულებში

მოსახლეობას. შეხვედნენ და წყლის მიწოდებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე გულანდილად იმსჯელებს. აქვე იყვნენ მერის წარმომადგენლები ამ სოფლებში ალექსანდრე ბოცვაძე და შავლეგ თარგამაძე, საკრებულოს წევრი ილია მჭავია.

აღინიშნა, რომ ზაფხულში, მალაქი სიციხის ფონზე, რამდენიმე ლოკაციაზე წყალი დაბალი დებეტით მოედინება, რაც გარკვეულ პრობლემას უქმნის მოსახლეობას.

“სპეციალისტებთან ერთად მოვედით, შევისწავლით ყველა პრობლემას და შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს გააკეთებთ წყლის მიწოდების პრობლემის აღმოსაფხვრელად”. – დაჰპირდა მოსახლეობას მუნიციპალიტეტის თავკაცი.



149-ე დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ქალაქო!

ლევან გაბაჩავა

“ჩვენს ხელთ არსებული ცნობით, სოფელ სამტრედიის პირველად 1772 წელს მოიხსენიებს გიულდენტშტედტი თავის ნაშრომში “მოგზაურობა საქართველოში. ისტორიული წყაროებში სამტრედიის სხვა სოფლებიც არაერთხელაა ნახსენები, მაგალითად, სრესილის ბრძოლის დროს (1757 წ.) სოლომონ მეფე უბრძანებს თავად ზურაბ მიქელაძეს: “სიყვარულით მოგვიტოვებ და ვიბრძანებ, ახლავე შეკრიბე ჯარი, გამოაწყვე ყველა თავად-აზნაური და გლეხნი, საჩინოს სოფლიდან მიუღო მთის მცხოვრებნი, ვიდრე გურიის საზღვრამდე, ვაკიდან – ორპირი, კულაში, ვაგანი, გეზათი, მოვლანი, ვიხაიში ორივე სოფელი, გუბი და ეწერი”. – წერს თავის წიგნში “სამტრედია 1870-1914 წ.წ.” ჩვენი სახელობის თანამემამულე პროფესორი ვაჟა თვალაგაძე.



ლების წინსვლითა და წარმატებებით, ერთნაირად გვეყენს ყველაფერი, რაც არ გვეკადრება, რასაც არ ვიმსახურებთ სამტრედია და სამტრედიელები.

არ გადავაჭარბებთ, უბრალოდ შევასხენებთ მეთხველს, რომ დაარსებიდან დღემდე, ყველა დროში, ყოველი ფორმაციისას სამტრედიელებმა უაქტიურესი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის ძლიერებაში, ბრძოლისას გამირულად იბრძოდნენ, მშვიდობიანი შრომის დროს კი გამირ-

ვლის აგვისტოს მოვლენები... სამტრედიელთა აქტიური მონაწილეობისა და სამტრედიელთა სისხლის გარეშე არ ჩაუვლია ამ მოვლენებს.

გვახარებს და გვეამაყება უნიჭიერესი ახალგაზრდის, მრავალმხრივი ნიჭით მირონცხბული ბაჩანა ჩაბრაძის, პერსპექტიული ახალგაზრდის, შოთა პაპავას, ახალგაზრდა პოეტების, ბექა ფოცხვერიას, თემურ ჭახნაყაის, მსოფლიო ჩემპიონის, მერი არაბიძის, “ოქროს სკალპელის” მფლობელის, უნიჭიერესი ქირურგის, მერაბ ჯანელიძის, პოეტების ზოია ვაშაკიძის, მაყვალა ჩირგაძის, პროფესორების, ვაჟა თვალაგაძის, გრიგორ ფარულავას... მიღწევები და აღიარება.



სამტრედიის ავტონომიური რეგიონის გერბი

ახალგაზრდა ქალაქების რიცხვს განეკუთვნება სამტრედია, რომელიც 1870 წელს, ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზის გაყვანასთან ერთად დაარსდა. თანდათან განეგრძო ქალაქი და დღეს, დაარსებიდან 149-ე წლისთავზე თანამედროვე სახითაა ჩვენს წინაშე.

წინამდებარე წერილში ახალს ვერაფერს ვიტყვით, უბრალოდ შევეცდებით გავიხსენოთ ის ადამიანები, რომელთა სამტრედიელობა გვეამაყება და რომელთაც შორს გაუთქვეს სახელი ჩვენს ქალაქს. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ გვეამაყება ზეციურ წმინდანთა დასში ორი უღირსეულესი სამტრედიელის, წმინდა მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) და წმინდა ფილიმონ ქორიძის (გამოჩინებული) სამტრედიელობა.

ობით აღგვაფრთოვანებდნენ მტრედად ნათლული ჩვენი ქალაქის შვილები.

პირველი და მეორე მსოფლიო ომები, 1918 წლის დამოუკიდებლობა, 1924 წლის აჯანყება, 1956 წლის მარტი და 1989 წლის 9 აპრილი, აფხაზეთი, სამაჩაბლო, 2008

ასე მოეფერა გალაკტიონ ტაბიძე სამტრედიის წლების წინ.

“შენთვის არავის უძღვნია ლექსი, რომ ვერ გამჩნევენ, ალბათ, ბედია, შენ ხომ სახელად ატარე დაბა, თან მხოლოდ დაბა და სამტრედია, წინათ ბორბლები დილიჯანსების/ გაიმახონდნენ: ტობა, საჩინო, ეხლა კი მინდა უზარმაზარი, შენში ქალაქი აღმოვეჩინო! ინდუსტრიული დროის სიმბოლო! ინდუსტრიული დროის რეფლექსი! პოეტებისთვის ჩემგან პირველად – აღმოჩენილი ქალაქი – ლექსი!”

მეამაყება სამტრედიელობა! 149-ე დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ქალაქო!

კპტრე-კავლობას გილოცავთ!

ტროპარი: “მოციქულთა თაგნო და ყოვლისა სოფლისა მოძღვარნო, მაცხოვარსა ყოველთასა ევედრებით, რადთა მოსცეს სოფელსა მშვიდობა და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა.”

კონდაკი: “მტკიცენი და ღმრთის-მეტყველნი ქადაგნი, და თაგნი მოწაფეთა შენთანი, უფალო, იხიარენ განსასვენებელსა კეთილთა შენთასა, რამეთუ შრომანი მათნი და სიკვდილნი მიითვალენ უფროს ყოველთა მსხვერპლთა და შესაწირავთასა, მხოლოდ, რომელმან უწყნი დაფარულნი გულთანი.”

“რა განამტკიცებდა და რა აძლევდა ძალასა და ღონესა ორთა ამათ მოციქულთა (პეტრეს და პავლეს) ესოდენთა ჭირთა შორის და დევნულებათა?”

როგორ არ მოეწყინათ მათ და როგორ გასძლეს ქვეყანასა ამას შინა, მოკლებულნი ყოვლითა ნუგეშითა და ყოვლითა სოფლიურითა წარმატებითა?

სიმტკიცე და მათი ნუგეში იყო იგივე სარწმუნოება და სიყვარული. პეტრე არათუ ითმენდა სულგრძელად ყოველსა დევნასა და განსაცდელსა, არამედ უხაროდაცა, ოდეს მიიღებდა ქრისტეს გულისათვის განსაცდელსა; პავლე აღვსებული სიყვარულითა, თვით ამ სიყვარულსა შინა ჰპოვებდა თვისსა ნუგეშსა.

...მართალია, იგივე იყვნენ, ვითარცა ესთქვით, დევნულნი და დამძიმებულნი ყოვლითა ამ სოფლის უბედურებითა, გარნა სულიწმიდა, რომელი ჰსუფევს გულსა შინა მართალთასა, ყოველთვის მისცემს მათ ისრეთსა ნეტარებასა, სიხარულსა და ბედნიერებასა, რომლისა მსგავსსა ვერასოდეს ვერ იგრძნობს ცოდვილის კაცის გული” – წერდა წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე).

ახალი სტილით 12 ივლისს აღნიშნავს ეკლესია პეტრე-პავლობას. შესაბამისი ღვთისმსახურება აღესრულება ამ დღეს მოქმედ ტაძრებში.

ლევან გაბაჩავა



კონსტანტინე ანის, მოქმედებასა საჭირო

საყოველთაოდ ცნობილია ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მან თავის დროზე წერილი მისწერა მილიონერ როტმილდს, რომ დახმარებოდა ფინანსურად, ელექტროენერჯის შორ მანძილზე გადატანის, მოწყობის საკითხში და შეძლო პარიზი გაენათებინა.

ჯერ კიდევ მაშინ ფიქრობდა, რომ ელექტროენერჯის შორ მანძილზე გადატანა მის ქვეყანასაც გამოადგებოდა. ასევე გამორჩეული იყო ნიკო ნიკოლაძის როლი მაგისტრალური რკინიგზის მშენებლობის საკითხში. განსაკუთრებული წვლილისათვის ის ოქროს ყუბონით დააჯილდოვეს.

მნიშვნელოვანი იყო ფოთი-თბილისის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა. მას შეუპოვარი ბრძოლა დასჭირდა, რომ რკინიგზის ლიანდაგი გაეყვანა ქუთაისში, ტყიბულში, ჭიათურაში, რამაც მხარის განვითარებას შეუწყო ხელი, მოსახლეობა ადგილზე დაამაგრა, ქალაქები დაცლისაგან იხსნა.

დღეს საქართველოში მოღვაწეობს, შეიძლება ითქვას, ნიკო ნიკოლაძის დარი მოაზროვნე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, არქიტექტორი ბატონი გიგა ბათიაშვილი, რომელსაც შემუშავებული აქვს სამტრედიის მაგისტრალური რკინიგზის განვითარების კონცეფცია, რომლის განხორციელება უდავოდ წაადგება იმერეთის რეგიონის განვითარებას, გააუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების პირობებს – შექმნის ასეულობით ახალ სამუშაო ადგილს.

სასურველი იქნება, ქვეყნის, რეგიონის ხელისუფალნი გაეცნონ ამ კონცეფციას და ხელი შეუწყონ მის განხორციელებას.

გიგა ბოჭორიშვილი
P.S. “ზაბიერველად აზრი ჩაავდე, ზედ დადვი გრძნობის ტაძარი”.
პაპა-ფაფაველა

მსახიობზე მსახიობის გარეშე

ქაიხაძე ჭაბუკიძე

“წმინდა ადგილი არის ის, სადაც შენ სიწმინდეს შეიტან. ღირსეული ხალხი სადაც არ უნდა დასაფლავო, ყველგან მიიღებს საქართველოს მიწა”. – სწამდა მას და უკულტურობად მიაჩნდა პრეტენზია პანთეონში დაკრძალვას. უარი თქვა, მისთვის ვარსკვლავი გაეხსნათ. ჩემი ვარსკვლავი იქ არისო და თვალს ზეცას უხსრობდა. სიცოცხლეშივე ვარსკვლავად ქცეული ნახევარ საუკუნეზე მეტხანს კამეარებდა ქართული თეატრის სცენაზე.

დიდი ადამიანი და მსახიობი – ასე ახასიათებენ ბატონ ნოდარ მგალობლიშვილს მეგობრები და კოლეგები. მაყურებლისთვის კი იგი იმ არტისტად რჩება, ვის სანახავადაც მიდიოდნენ სპექტაკლებზე, ვისაც უწოქებდნენ და ხელზე კოცნიდნენ.

საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, ნოდარ მგალობლიშვილი სიცოცხლეს აგრძელებს მის მიერ განსახიერებულ ოსვალდში, ჰაკი აბბაში, თეიმურაზ ზევისთაეში, იავოსა და კიდევ სხვა მრავალ მხატვრულ სახეში. ისინი სიყვარულს, თავდადებას, სამშობლოსადმი ერთგულებას გასწავლიან და ადამიანობის ღირებულ გაცხეობებს გაძლევენ.

პრინციპული, პასუხისმგებელი, უსაზღვროდ შეგვარებული თეატრზე, იმდენად, რომ შეეღობა კიდევ. არასდროს გაყიდულა, არც ერთი მთავრობისგან არაფერს მივიღებო და დაუსრულებლად ჰყვებიან, თუ როგორ თქვა უარი ღირსების მედალზე. სამაგიეროდ, ისეთი დიდი რეჟისორი, როგორც თე-

მურ ჩხეიძეა, ეტყვის: “უამრავი რამ არ იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში, რომ არა შენ, ვერ დაგვგამდი ჯაყოს ხიზნებს”.

სამოცზე მეტი როლი განასახიერა მსახიობმა და მათ შორის როლები რუსულ ფილმებში. უცხოელი მაყურებელიც ერთსულოვნად აღიარებდა მის შემოქმედებით თავისთავადობას, მხატვრულ ოსტატობას. “დრამაში მე ვდუმვარ და პოპულარობასაც ასე მოვექეცი”. – დასძენს ის წლების შემდეგ. ეს მისი ბუნებრივი პოზაა, გულწრფელი როლი რეალურ ცხოვრებაში.

ნოდარ მგალობლიშვილის სახელი დროს არ გადაჰყვება. პირიქით, ის უფრო მეტს იტყვის მასზე. მე კი სინანულად გამეყვება არშემდგარი ინტერვიუ დიდ ხელოვანთან.

ღანიანი, პირველი ბატონი ნოდარი გვეგებება მის მეუღლესთან, მწერალ ნინო ჩხევიშვილთან ინტერვიუსთვის მიხსულებს. მის ახალ წიგნზე საუბარმა დიდხანს გასტანა, ამიტომ მსახიობთან შეხვედრას უახლოეს მომავალში ვგეგმავთ...

გაზაფხულზე აღესრულა ნოდარ მგალობლიშვილი. წავიდა და როგორც ამბობდა, ამქვეყნიური წამება და სიხარული აქ დარჩა.

...მარჯანიშვილის თეატრი. მან უკანასკნელად ითამაშა კიდევ ერთი დრამატული როლი, უკვე უკანასკნელი, გრიძისა და ტექსტის ვარემე. მიჰქონდათ კუბო და ტკივილად უღერდა მსახიობის ნამღერია.

11 ივლისს 88 წელი შეუსრულდებოდა ნოდარ მგალობლიშვილის...


მსახიობზე მსახიობის გარეშე ქალბატონი ნინო ჩხევიშვილი მოგვიყვება.



ლჩვილი იყო. ტელევიზია “ობიექტივმა” გააკეთა საგანგებო გადაცემა, რომელიც მიუძღვნეს ნოდარს, მიწვეული იყო მისი ვაჟი ალექო და ბატონი გივი ჩუგუაშვილი, მისი კოლეგა, ძალიან კარგი მსახიობი. მან თქვა ასეთი საინტერესო რამ მასზე: თავის სევდას, ტკივილს სიმღერით გადმოსცემდა. ნოდარის ოცნება ხომ იყო საოპერო მომღერალი გამხდარიყო, მაგრამ ხმა დაჰკარგა. შემდეგ სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა თეატრში. მისი ბავშვობის მეგობარი, ჯემალ ანჯაფარიძე, ზურაბ ანჯაფარიძის ძმა შეხვდა, რომელმაც უთხრა, ხომ მაინც ჩაიჭერი “გეკეში”, ახლა მე ვაბარებ თეატრალურში სარეჟისოროზე და წამოდი, შენც ჩააბარე. თუ მოგივა ხმა, ხომ კარგი, დაუბრუნდები საოპერო სცენას, თუ არა, შენი მონაცემები თეატრშიც გამოადგება. მოემზადა გამოცდისთვის და ჩააბარა. საერთოდ არ გახარებია თურმე ინსტიტუტში მოწობა, რადგან არ აინტერესებდა. მთელი ცხოვრება, ფხიზელი არა, ერთ-ორ ჭიქას რომ დალევდა, არიების შესრულებას იწყებდა. თავის ვოკალურ მონაცემებს თავს არავის მოახვევდა.

მერე ნოდარის ცხოვრებაში მოხდა ბედნიერი ფაქტი, შეხვდა ჩვენი დროის ისეთ ძალიან დიდ რეჟისორს, როგორც თემურ ჩხეიძეა. ამან განაპირობა ის, რომ დაიბადა ნოდარ მგალობლიშვილი. თემურ ჩხეიძის ეპოქალური სპექტაკლებში მან თავისი წვლილი შეიტანა, თუმცა მჯერა, რომ არ ყოფილიყო თემურ ჩხეიძე, არ იქნებოდა ნოდარ მგალობლიშვილი. ახალ ესთეტიკას ის ძნელად ეგუებოდა და ალბათ, ამანაც განაპირობა მარჯანიშვილის თეატრიდან წამოსულიყო. აქ გულისტკივილიც იყო და სცენის მონატ-

სო ეპიზოდს იხსენებდა. 10-11 წლისანი არიან და 1941 წლის 22 ივნისია. ახლა რომ თავისუფლებასე სავაჭრო ცენტრია, იქ იყო სტუდია. ნოდარი და ირაკლი სოლოლაკი ცხოვრობდნენ. მივიდნენ სტუდიაში, ჩაიცვავს საცეკვაო ფორმა, მაგრამ შემოვიდა ჩივადე და თქვა: წადით, ბავშვებო, ომი დაიწყო. ირაკლის უპასუხნია: მერე რა, მას, ომი თუ დაიწყო, ჩვენ რა, არ უნდა ვიცეკვოთო. რაღაც სიმბოლურია. ომმა მთლიანად შეცვალა მათი ცხოვრება.



მეუღლესთან, ნინო ჩხევიშვილთან

ერთ-ერთ შეხვედრაზე ბატონმა ნოდარმა გაიხსენა თავისი მძიმე ბავშვობა, მამის, ბებიის გარდაცვალება და თქვა, ალბათ, დღემდე მომეყვება ეს ტრავმა, ზოგჯერ მივივარს, ისეთ რაღაცეებზე ვბრუნდებით.

ძალიან მორიდებული იყო, ამავე დროს პრინციპული. იმის გამო, თავისი მიზნისთვის მიეღწეა, არავის წინაშე შედუმებდა თავს არ დახრიდა. მისი შვილიშვილი ირაკლი ამბობდა, ბაბუა პრინციპული იყო, კარგია, თუ ადამიანი ამ თვისებებით ბოლომდე მოახერხებს იცხოვროსო. თუმცა, როგორც ვთქვი, გულწივი იყო. შეიძლება ქუჩაში უპატრონო ძაღლი, კატა დაენახა და აცრემლებულიყო.

ალბათ, ჟურნალისტის ფანტაზია იყო, როცა წერდა, ბატონი ნოდარის დაკრძალვის მომენტში სამარესთან მისი დაკარგული ძაღლი, გორდა მივიდა?

არა, ეს ის ძაღლი არ იყო. გორდა წაიყვანეს და მოკლეს. უბრალოდ ჰგავდა მას. როდესაც ჩვენ მგალობლიშვილის ქუჩაზე საცხოვრებლად გადავედით (სხვათა შორის, ყველას ეგონა, რომ ნოდარს იქ საკუთარი სახლი ჰქონდა და ქუჩაც მისი სახელობის იყო. სინამდვილეში ძველთაძველ სახლში დავსახლდით და ქუჩაც სოფრომ მგალობლიშვილის სახელს ატარებდა). ჩემმა შვილმა, ჯიმიკომ უთხრა, ნოდარ, იცი, აქვე ერთი კარგი ძაღლია და ბრმა არისო. ამაზე გაგიჟდა ნოდარი. მერე ისე მიიჩვია, თუ სადმე წავიდოდა, დაბრუნებამდე ნახევარი საათით ადრე ძაღლი ყოველთვის მოდიოდა და სადარბაზოსთან ელოდებოდა. როცა წაიყვანეს, ნოდარმა სად არ ეძება, მაგრამ

შემდეგოდ. მითხრეს, ის ძაღლი, რომელიც მის დაკრძალვასე მოვიდა, ტიროდაო. გადაულაოთ კიდევ. ეს რაღაც სიმბოლურია და მე პირადად არ გამკვირვებია.

როგორც ამბობენ, ბატონი ნოდარი არა მარტო დიდი მსახიობი, კარგი მეგობარიც იყო, მოლხენაც უყვარდა.

მეგობრები ბავშვობიდან მოდიოდნენ. დღეს მხოლოდ ერთი დარჩა, ბატონი თამაზ შილაკაძე. იგი ცნობილი პიროვნებაა, გზათა ინჟინერი. მან უდიდესი პატივი სცა ნოდარს. კლასიკური, უბნელები, მეგობრები – ყველანი გამორჩეულები იყვნენ: საშა ჩიკვაძე – ელჩი გახლდათ საბერძნეთში, შვეიცარიაში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისში ჟენევაში. ბადრი მაისურაძე – მხატვარი, ირაკლი ჟორდანიანი – აკადემიკოსი, ჯუნა მატიაშვილი – მოქანდაკე, ირაკლი უჩანეთი – მწერალი; საბავშვო ბაღში ერთად იყვნენ ნოდარი და ლია ელიავა, მერე თეატრალურ ინსტიტუტშიც ერთად სწავლობდნენ. პირველი კურსიდან მოდიოდნენ ის და ოთარ მეღვინეთუხუცესი, ასევე, ნოდარ ჩაჩანიძე, ცნობილი მსახიობი ზესტაფონელი. ნოდარი სასწაულებს ჰყვებოდა მასზე. უნიჭიერესი მსახიობი იყო თურმე და ეხვეწებო-

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი იყო ნოდარი, სრულიად არ ჰქონდა მსახიობებისათვის დამახასიათებელი ე.წ. ამბიცია. ძალიან მორიდებული იყო, წამოვიდა თეატრიდან და მის კოლეგებს ეს სულ უკვირდათ. მეც ვფიქრობდი, რომ შეეძლო ემუშავა, მაგრამ თვითონ თქვა: ხელოვანმა და მით უფრო მსახიობმა კარგად უნდა იცოდეს თავისი წასვლის დრო, ჩემი ადგილი აღარ არის სცენაზე.

თქვენთვის არასოდეს უთქვამს მიზეზი? რით ამართლებდა ასეთ გადაწყვეტილებას?

ბოლო როლი, ვისთანაც მან ითამაშა, იყო ბატონი გოგი ქავთარაძე. 2010 წელს თუმანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე. იმისთვის “ხალხის მტერში” მთავარი როლი, ექიმი შტოუმანი განასახიერა. რაც მარჯანიშვილის თეატრში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, ის იმ თეატრის სცენაზე აღარ ასულა. საერთოდ, ძალიან სევდიანი ადამიანი იყო, ბევრს საუბრობდა აღსასრულზე, ჩვენს შეხვედრაზე. ბოლო პერიოდში მეუბნებოდა, რომ შენ არაფრით დაუშვა, მარჯანიშვილის თეატრის სცენიდან დამკრძალონო. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილე, მაინც იმ სცენიდან დამკრძალო. ახლობლებმა



შვილიშვილებთან თეიკოსთან და ირაკლისთან

იციან, ჯერ სახალხოდ არ მიიქვამს, რომ მისი ბოლო სიტყვაა, რაც მე მკაფიოდ გაგიგონე, როცა ონკოლოგიურ საავადმყოფოში იწვა, იყო თეატრი. ასე მგონია, რომ მარჯანიშვილის თეატრი ერთი კონკრეტული თაობის არ არის...

ესე იგი, გული ატკინეს? – ჰო, არ ვიცი. ნოდარი ძალიან ხისტი ადამიანი იყო, პრინციპული, ზოგჯერ ზედმეტად მკაცრიც. ხანდახან ამბობდნენ, რომ ურჯულო ხასიათი აქვსო. არადა, სინამდვილეში ძალიან გუ-

რებატ. ძალიან პლასტიური იყო და რომ მოეწყო, თურმე კოწო ბადრიძემ, მოძრაობის პედაგოგმა უთხრა, ფისკულტურის ინსტიტუტში წადი, აქ რა გინდა. თავის დროზე ტანვარჯიშზე დადიოდა და ოსტატობისთვის ემზადებოდა. ძელიდან ჩამოვარდა და ტრავმა მიიღო, მერე ვარჯიშში აღარ გაუგრძელებია. ცეკავდა კიდევ, ჩივაძის ცნობილ სტუდიაში დადიოდნენ ნოდარი და ირაკლი უჩანეთი. ერთ საინტერე-



თემურ ჩხეიძესთან და მეგობარ მსახიობებთან


ელაპარაკებოდა. – დანიტთან თქვენ დააკავშირეთ, გადმოცემით ვიცო, რომ აქ ყოფნა უყვარდა?

– დაახ, მე ჩამოვიყვანე. ურბანისტი იყო. სხვათა შორის, ბებია, გვარად ლორთქიფანიძე, დიდი ჯიხაიშიდან ჰყავდა. ამბობდა, რომ ის ტექნიკური ჩვენს ენოში ააშენესო. როცა ბებია მგალობლივლილს გაპყვლია ცოლად, გურიაში წასულან. ბებია ვერ აიტანა თურმე მთაში ცხოვრება და დაბრუნდნენ დიდ ჯიხაიშიში. ნოდარი იხსენებდა იქ გატარებულ ბავშვობას. დანიტი რაღაცნაირად მოსწონდა, დამშვიდდა, მთელი ცხოვრება გადაღებებზე იყო და თეატრში თამაშობდა. აივანზე დაღვებოდა და ხანდახან შაშვი რომ გალობდა, იმავე ხმით ესეც ეპასუხებოდა. მერე სხვა შაშვიებიც აპყვებოდნენ და სულ გვიანტერესებდა, რას ლაპარაკობდნენ. მეგობრისთვის უთქვამს, ისეთ წალკოტში წამიყვანა ნინომო.

– იხიარებდით ბატონი ნოდარის აზრს, შეხედულებებს თქვენს შემოქმედებაში?

– რა თქმა უნდა. განსაკუთრებით, რაც თეატრს შეეხებოდა. ბოლოს და

ნებოდა ინტერვიუზე. შარშან დანიტი ჩამოვიდა. ნოდარი რაღაც ვერ იყო კარგად, მაგრამ უარი ვერ უთხრა ინტერვიუზე. დანიტი ალაპარაკა. სწორედ ნანამ მოახერხა, ჩაეწერა, თუ როგორ კითხულობს ნოდარი ჩემი წიგნიდან “მე პაოლო ვარ” ორ ნაწილად, ხოლო უკანასკნელი “ცისფერყანწვლიდან” – პროლოგსა და ეპილოგს. ამბობდა, კითხვა ჩემი საქმე არ არისო, თანაც ცნობილ ბაბუღია ნიკოლეიშვილს იფიქრებდა, რომელიც მეტყველებას ასწავლიდა თეატრალურ ინსტიტუტში. ჩვენ კურსს რომ უკითხავდა, სწორედ მაშინ იცავდა სადოქტორო დისერტაციასო. მე 120 ლექსი ვიცოდი, ასევე ბევრი ლექსი იცოდა მეღვინეთუხუცესმა, უჩანეიშვილმა და ჩვენს ჯგუფზე დაიცვა დისერტაციაო. ბაბუღიას მოსწონდა თურმე, როცა ნოდარი კითხულობდა. მას პირადად კი – ირაკლი უჩანეიშვილი, კარგად კითხულობსო. მე ძალიან სუბიექტური ვარ, როცა ნოდარზე ვსაუბრობ, მაგრამ არ იყო ურიტო მეთხველი, “ზუსტ აქცენტებს აკეთებდა. ეხვეწებოდნენ კიდევ, მასტერკლასი გაეკეთებინა. ქალბატონ ბაბუღიას მიუწვევია და ერთი წელი კო



ვწერე წიგნი თემურ ჩხეიძეზე, ვუკითხავდი ხოლმე, მაგრამ მე მაინც ჩემი მოსაზრება გამქონდა. მეუბნებოდა, რომ ასე თამაშად არ დაწერო.

– ინტერნეტში გავრცელდა ვიდეოკადრები, როგორ კითხულობს ბატონი ნოდარი თქვენი წიგნებიდან ნაწილებს.

– თვლიდა, რომ ძალიან ცუდი მეთხველი იყო და ამ დროს არ იყო. არსებობს ჩანაწერები. მან წაიკითხა ოთხი ჩხეიძის პატარა მოთხრობა “ყურეშა”. ბატონი ოთარი მე მივიტანავდა ლექციებს უნივერსიტეტში და მქონდა დიდი ბედნიერება, რომ ამ რანგის მწერალს პირადად ვიცნობდი. მერე ვმუშაობდი მის ვაჟთან, როსტომთან ვურნალ “ომეგაში”, რომელიც ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელიც იყო. უფრო დაუახლოვდი მათ ოჯახს და ალბათ, ამ პირადმა ურთიერთობებამც განაპირობა, ჩემი დაჯილდოებული თხრობით “ყურეშა” წაეკითხა.

– აქვე მინდა ჩემს მეგობარზე, ნანა ჭრელიაშვილზე ვთქვა. იგი ფილოლოგია, მაგრამ სწავლობდა თეატრალურ ინსტიტუტში და კარგად იცნობს ამ სფეროს. მას აქვს უნიკალური არქივი (შეიძლება უკვე ამაზე ლაპარაკი). 120 საათი მაინც ექნება ნოდარზე აუდიო და ვიდეო ჩანაწერები. ნოდარსაც ძალიან უყვარდა ნანა. ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც უარს ვერ ეუბ

ნებოდა ლექციებს თეატრალურ ინსტიტუტში. ამბობდა, რომ მისი საქმე არ იყო პედაგოგობა. ძალიან დასანანია, რომ ის გამოცდილება, რაც ნოდარს ჰქონდა, როგორც პროფესიონალს, ალბათ, ნელ-ნელა დაეკარგება. მას სულ სხვა სკოლა ჰქონდა გავლილი, ვასაძე ასწავლიდა, ხორავა. თეატრში რომ პირველად მივიდა, ჟორა შავგულიძის საგრიმიროში დაჯდა. მუშაობდა რეჟისორ ლილი იოსელიანთან, მერე კიდევ თემურ ჩხეიძესთან. ეს ისეთი ხაზია, შემოქმედებითი საფეხურები! ბოლოს ბატონ გიგისთან იმუშავა ისწავნე.

– როგორი მამა და მეუღლე იყო ბატონი ნოდარი?

– არანორმალური მამა და მგრძობიარე ბაბუა. პატარები იყვნენ მისი შვილიშვილები, როცა ჩვენ ერთმანეთი გავეიცანით. თეატრ საფურანგეთში ცხოვრობს და მუშაობს, ირაკლი – თბილისში. ორი შვილთაშვილიც ჰყავს, მარგო და ტეო. ნოდარის შვილი ალექსანდრე ბაბუის სახელს ატარებს. მისი მეუღლე სოფო ნაცვლიშვილია. ოჯახზე მზრუნველობა ბავშვობიდან დაიწყო. ყველასთვის ასეთი იყო. ჩემთვის მეგობარიც იყო და არაჩვეულებრივი მეუღლეც.

– მისი წასვლა ბოლომდე არ მაქვს გაცნობიერებული. განცდა მაქვს, რომ სულ თან მყავს. მგონია, რომ სადღაც გადაღებზეა წასული და დაბრუნდება.

თავისუფლება ჯერ უნდა ასწავლო და უბედურ მისცა

მითხვან ჭილიძე

სახელმძღვანელო, რომელიც ეკა სიმსივემ სხვადასხვა საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს წარუდგინა, ერთ-ერთია იმ სამი გრიფირებული წიგნიდან, რომელსაც მომავალი წლიდან მე-7 კლასში ასწავლიან.

“მხილდა, ეს წიგნი ისეთი ყოფილიყო, როგორც მე, სამოქალაქო განათლების საგნის მასწავლებელი ვისურვებდი”. – განაცხადა ქალბატონმა ეკამ.

სახელმძღვანელო ერთგვარი სასწავლო გეგმების შედგენაში ორიენტირებული, რაც მის უბირატესობას წარმოადგენს იგი რამდენიმე კარისგან შედგება. მასში ყველა ის საკითხია განხილული, რომელიც პირდაპირ კავშირშია თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასთან.

წიგნის ავტორების: მაია გოგოლაძის, ეკა სიმსივესა და მანანა ჯინჭარაძის გადაწყვეტილებით, მასწავლებლები, პირველ რიგში, იმ გარემოსა და თემის გაცნობიერებით იწყებენ სწავლას, რომელშიც ცხოვრობენ. მეორეა – სასკოლო გარემო. კულტურული მემკვიდრეობა, სამართალი და სამართლიანობა, ბუნებრივი გარემო, რელიგია და ტოლერანტობა, ბუღინგი, კონფლიქტები, ნაადრევი ქორწინება, ჯანსაღი ცხოვრება, ადიქცია – ამ და სხვა საკითხების შესწავლა წიგნში მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ხდება. ამიტომაც მიიქცია მან ფსიქოლოგების ყურადღება. სახელმძღვანელო ილუსტრირებულია, რაც უფრო მეტად აღსაქმელს ხდის ნებისმიერ თემს. მასში ვხვდებით კარიკატურებსაც. როგორც ეკა სიმსივე აცხადებს, წიგნი არ მისცემს მასწავლებლებს საშუალებას, მოსწავლეს დახვებინონ მასალა და არ ჩაატარებინონ ინტერაქტიული გაკვეთილი.

“ჩვენ ვაძლევთ ცოდნას, ვუკითხავთ უნარს და ვუყვავლებთ ღირებუ

სწავლებელს უადვილებს, სათანადოდ გადასცეს და გააზრდებინოს საგანი მოსწავლეს.

– ისე უნდა ასწავლო, რომ მოსწავლელე სწორ შეფასებამდე მიიყვანო – ასეთია სახელმძღვანელოს შემქმნელების მიზანი, მით უფრო, გარდაუვალი გლობალიზაციის პირობებში.

“მე უკვე გავიცანი ამ წიგნს, თუ მასწავლებელიც მოლიანად დაიხარჯება, ჩვენ როგორი სახელმწიფო, როგორი სამოქალაქო საზოგადოებაც გვინდა შექმნათ, ამისთვის კარგ საფუძველს შექმნის. მე აუცილებლად ამ წიგნით ვასწავლი სკოლაში და სამოქალაქო განათლების ყველა პედაგოგს ვურჩევ მას. დიდი მადლობა ამ სახელმძღვანელოსთვის. მადლობა, რომ ასე იხარჯებით”. – მიმართა მე-12 საჯარო სკოლის პედაგოგმა, სოფიო კირთაძემ ეკა სიმსივეს და დასძინა, რომ ქალბატონი ეკა არა მარტო სამოქალაქო განათლების პედაგოგი, არამედ კარგი ისტორიკოსი და საქმის მკეთებელი ადამიანია.

“ჩვენ გეჭვრებოდა ასეთი სახელმძღვანელო. ასეთ წიგნს რომ აიღებ და გადაშლი, უცხოვ არ ექნება არც კლასი და არც მასწავლებელი. ჩვენთვის ეს ძალიან შეწყობილია, მოტივირებულია, გამართლებულია. ძალიან მომეწონა და გილოცავთ!” – ასე შეაფასა ახალი სახელმძღვანელო მე-6 საჯარო სკოლის პედაგოგმა ნატო მსხილაძემ.

კმაყოფილება გამოთქვა მე-11 საჯარო სკოლის პედაგოგმა ნინო ბერეკაშვილმა: “საქმად საინტერესო ინფორმაციები მივიღე. რაც მთავარია, სახელმძღვანელო ახალი სკოლის მოდელზე გადის და სასარგებლოა. სრულყოფილად წარმოდგენილი ყველა საკითხი. რა თქმა უნდა, ავირჩევ და სხვებსაც მას ვურჩევ.”

“ამ სახელმძღვანელოს ინტერნეტვერსიაც მაქვს ნანახი და ძალიან მომეწონა. სხვა ავტორებსაც შეეხვდები, მაგრამ მგონია, რომ ამ სახელმძღვანელოზე გავა-

ება შეიძლება, სოფელში და თუნდაც ქალაქში, საბოლოოდ მაინც, ერთადერთი საშუალებად რჩება. ის კი ისეთი უნდა იყოს, ხელი შეუწყოს, რაც აქვს საგნის მთავარი მიზანი – ეროვნული სასწავლო გეგმის შედგენაზე გავლას.

– რატომ დავიწყეთ სიტუაციური ამოცანებით? მოსწავლე აღქმას იწყებს თავის ირგვლივ არსებული გარემოთი. აქედან უნდა მივიდეს ის კანონმდებლობით ვერ დაწვებინებ მას საგნის შესწავლას. მან უნდა გაანალიზოს მის ირგვლივ სიტუაცია და გამოიცნოს აზრი, კარგია თუ ცუდი და რატომ არის კარგი, ან ცუდი, რა უნდა შევცვალო მე, უნდა მომეწონოს თუ არა, უნდა ამოვიღო, თუ არ უნდა ამოვიღო ხმა.

– გახსოვთ, ალბათ, პირველად რამდენად გამაღიზიანებელი იყო სიტყვა “ტოლერანტობა.” ქართველი თვლის, რომ ის თავისი ბუნებითა და ტრადიციებით ისედაც ტოლერანტია. თქვენი აზრით, როგორი სამოქალაქო საზოგადოება გვაქვს?

– ჩვენი ისტორია, მართლაც არის მაგალითი ტოლერანტობის, მაგრამ სოციუმში, საზოგადოებაში ვხედავ, რომ ეს თვისება გუკავია. ამას ვხედავ ქუჩაში, სკოლაში, თემში, სადაც ქართ. პრობლემა ალბათ, არის ის, რომ არასწორად გავიგეთ იგი. ტოლერანტობა მრავალფეროვნების პარამონიაა და არა შემწყნარებლობა. ტოლერანტობა არ გამოიცხავს ტრადიციას, კონსერვა-



ლებებს. სახელმძღვანელოში მოცემულია ყველა გაკვეთილის მიზანი და ისიც, თუ რა შედეგზე უნდა გავიდეს კონკრეტული გაკვეთილი. წიგნი ახალი სკოლის მოდელით ავაწვევთ. მასში ყოველი თავის შემდეგ მოცემულია, როგორი აქტივობები უნდა განახორციელოს მასწავლებელმა. სახელმძღვანელოს ის უპირატესობაც აქვს, რომ თავი იხედავს თანმიმდევრობით არის დალაგებული, ერთმანეთზე დაყრდნობილი, როგორც პირამიდა. არ არის ჩაფრილი, როგორადაც აქამდე იყო”. – განუმარტა პრეზენტატორმა პედაგოგმა.

მან გარდა სახელმძღვანელოსა, მასწავლებლის წიგნიც წარადგინა. მისივე განცხადებით, იგი საუკეთესოდ აღწერს, როგორ მოვედროთ ახალი სკოლის მოთხოვნებს. კომპლექსური დაგეგმვების, თეორიული მტყუნებისა და პრაქტიკული მაგალითების ერთობლიობაზე შექმნილი სახელმძღვანელო მაკეთებ არჩევანს”. – გვითხრა კულამის საჯარო სკოლის პედაგოგმა ნათია ნაჭყვამია.

– ეკა სიმსივე, გარდა იმისა, რომ სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოს ავტორია, იგი თბილისის №94 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე და მასწავლებელია სახლის სამოქალაქო განათლების ტრენერი. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, პედაგოგის პრაქტიკულმა საქმიანობამ ხელი შეუწყო, ისეთი სახელმძღვანელო შექმნა, რომელიც ნამდვილად დაეხმარებოდა მასწავლებლებს.

– ვფიქრობდი, როგორი წიგნი მოეწონებოდათ მასწავლებლებს, როგორი წიგნი მისცემდა მათ საშუალებას, ჩატარებინათ ინტერაქტიული გაკვეთილი. იცით, წიგნი არ არის ერთადერთი რესურსი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ 21-ე საუკუნეში ვართ და ელექტრონული რესურსების გამოყენ-

ოლიტიზში – პატრიოტიზმს. უბრალოდ, გლობალიზაციის ფარგლებში იგი მაინც შემოგვიღებს კარს 21-ე საუკუნეში. მთავარია, სწორად გვექონდეს გააზრებული, რას ნიშნავს ჩვენითვის პატრიოტიზმი და ტოლერანტობა.

– დამეთანხმებით, ჩვენი ქვეყანა ძველი და ახალი შეხედულებების ჭიდილშია. ქმედებების თავისუფლება დემოკრატიით აიხსნება, ზოგჯერ არასწორად. სად გადის ზღვარი თავისუფლებასა და მოვალეობებს შორის?

– ზუსტად ამისთვის არის ეს წიგნი. მასში ყველგან არის გამახვილებული ყურადღება უფლებებსა და მოვალეობებზე. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ თავისუფლება ჯერ უნდა ასწავლო და შემდეგ მისცე. თუ არ ასწავლო, მაშინ პენია, რომ ყველაფრის უფლება აქვს. სწორედ ეს უნდა ვასწავლოთ და ვისწავლოთ, რისი უფლება გვაქვს და სად გადის ზღვარი თავისუფლებასა და კანონს შორის. რაც უფრო მეტად თავისუფალი ხარ, მით უფრო მეტად პასუხისმგებლობა. თავისუფალი ადამიანი კიდევ უფრო მეტად კანონმორჩილია.

ბიჭი, როგორც თქვენს წინაშე წარსდება...

თბა ბავშვანობილი

მართალია, დიდი არ არის, მაგრამ დომენტი შანიძის სახელობის პირველი სახელოვნებო სკოლის აღსაზრდელებს განსაკუთრებით დიდი ენეზებით ეს დარბაზი, მით უმეტეს, თუ მსმენელითაა საესე. აქ ყოველთვის გემოვნებიანი მსმენელი ზის, მათში ბევრია ისეთი პროფესიონალი, ბევრას რომ ვერ გამოაპარებ, მუსიკალური გემოვნება რომ არასდროს დალახობთ. სამუსიკო სკოლის პედაგოგებზე გვაქვს საუბარი, რადგან უპირველესად მათი დამსახურებაა, რომ ოდითგან დიდი წარმატებების მქონე ამ სკოლის ეპითეთი მხოლოდ წარმატებული გახლავთ. დაარსებიდან დაჰყვა საკუთარ ნიშანს აქაურობას დიდი პროფესიონალიზმით მიღწეული წარმატებების სიმრავლე. და ასე გავიდა საუკუნე მეტი. და კიდევ ასე გრძელდება სხვა

მაოდ გრძელი სიით. მოკლედ რომ ვთქვათ, სხვადასხვა რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატი და დიპლომანტი, პირველი და მეორე ადგილების მფლობელი. ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის მე-10 რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალის "იპოვე შენი ვარსკვლავი", 2017 წლის ოქროს მედალოსანი.

ეს ბიჭი გიორგი სტურუაა. დიას, ღირდა მისი გასაცნობად ამხელა შესავალი. ერთნაირი პროფესიონალიზმით აუღერებული ფორტეპიანო, კლარნეტი, ჩელო, ფლეიტა "ბიჭი ორკესტრის" ვირტუოზულ მუსიკალურ მონაცემებს ააშენებდა. გარდა კლასიკური მუსიკისა, იგი თითქმის ყველა ეროვნულ საერავს ფლობს. "მუსიკა ჟანრებადაა ჩემი, ის არის გზა, რომლითაც მინდა ვიარო და ვიარებო. მე იგი ადამიანით მიყვარს." - ამბობს ბიჭი, ჯერ მხოლოდ 13 წლის რომ არის და კარგად იცის ჭეშ-

ერთ-ერთი მათგანია, გამორჩეული ფურცლით რომ შეავსებს ამ სახელოვანი წარსულის მქონე სკოლის ისტორიას.

ვანჩელი, ცაბაძე, აზარაშვილი, ბრამსი, ბახი... სახელოვანი კომპოზიტორები არაერთხელ აუღერებულან ამ სცენაზე და იმ კონცერტზე გიორგი სტურუა კიდევ ერთხელ ატკობდა სმენას და გონებას მათი შემოქმედებით. აკომპონიმენტს საკუთარი და სკოლის სხვა პედაგოგები: ირმა ბექაია, მაყვალა სანიციძე, ინგა შანიძე, ვალერი შანიძე, ნათია გაბრიაძე, ლეილა ჭიჭიანი, სოფიო ახობაძე უწევდნენ. ლეილა მელქაძე ფორტეპიანოს, ვალერი შანიძე კლარნეტის, ინგა შანიძე ფლეიტის, მაყვალა სანიციძე კი ჩელოს პედაგოგები არიან მისი და ერთმანეთს მისი სიყვარულში ეცილებიან. იმ დღეს განსაკუთრებით ბევრი მადლობა ლეილა მელქაძის მისამართით ითქვა, რადგან ლეილა მელქაძე ამ კონცერტის სულისსამდგმელი გახლდა.



საუკუნე, ამ სამუსიკო სკოლამ კლავიმენტზე რომ უნდა "დაამღეროს".

და ახლა ბიჭი, რომელიც თქვენს წინაშე წარსდება! ჯერჯერობით მხოლოდ 13 წლის, თუმცა უკვე... დავიწყებ ისე, როგორც კონცერტის დასაწყისში ითქვა - ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ქართველი, ჯიშინი, სიმპათიური, დენდის ქცევებით. თუმცა, მას უკვე უწოდეს პროფესიონალურად "ბიჭი ორკესტრი", რადგან 5 ინსტრუმენტის ერთნაირად ფლობა, 13 წლის ასაკში სოლო კონცერტის გამართვის საბაზი გახდა. წარმატებები? ჩამოსათვლელია საკ-

მარტივი ხელოვნების ფასი და ძალა.

პირველი სოლო კონცერტი ფორტეპიანოს პედაგოგის, ლეილა მელქაძის მონღომებით გამართა. ლეილა მელქაძეებულმა დაუდგინა, რომ თუ წარმატების მიღწევა სურდა, სინფონიკებს უკვე უნდა შეჭიდებოდა, რაც არ უნდა რთული მოწვევებოდა იგი. სკოლის აღსაზრდელის მიერ გამართული პირველი სოლო კონცერტი არ გახლავთ ეს დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში, თუმცა, არც ზშირია მოსწავლეებს სოლო კონცერტები ჯერ ისე შეიძლეოდნენ სწავლისას გაემართათ. გიორგი სტურუა

შემთხვევითი არ არის გიორგის განსაკუთრებული ნიჭი მუსიკისადმი. დედა, ნატო ქვირია მუსიკის პედაგოგია, მუსიკალური განათლება აქვს ბებიას, ლეილა შიშიაშვილსაც, რომელიც დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის დირექტორია.

მეგობრები გიორგის ვეგერდით იდგენ იმ დღეს. და იმიტომ, რომ გიორგი თავად არის კარგი მეგობარი. ჰოდა, ამ სკოლის აღსაზრდელმა წარმატებულმა მოსწავლეებმა მაჭავარიანის "იუმორესკა" მისთვის და მასთან ერთად შეასრულეს. ფორტეპიანოსთან ქეთევან ზარიაშვილი იჯდა, ვიოლინოზე ნინო არველაძე, დანი ნიკოლეიშვილი უკრავდნენ.

გიორგი ძალიან მუსიკალური ბიჭია. ხელოვნების ამ დარგს განსაკუთრებით ბევრი დრო და ენერჯია სჭირდება წარმატების მისაღწევად. თუმცა, ეს 13 წლის ყმაწვილი, ახერხებს სასკოლო დისციპლინებიც ზედმიწევნით კარგად შეისწავლოს, სკოლაშიც ბეჯითობს და გახლავთ კიდევ სხვადასხვა სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებული, მათ შორის კინგის ოლიმპიადის პირველი და მეორე ხარისხის დიპლომების მფლობელი. იგი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი წარმატებული ეტალონელია.

ის, რომ გიორგი ერთდროულად რამდენიმე საერავს დაუფულა, სახელოვნებო სკოლის დირექტორის, ირმა შანიძის დამსახურებაა.

სწორედ მან დაიწინა, რომ განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემების მქონე მისი სკოლის მოსწავლეს, კოლეგის შვილსა და საკუთარ ნათულს, რამდენიმე საერავს ესწავლა. შედეგი სახეზეა, გიორგი ყველა მათგანს ერთნაირი წარმატებით დაეუფლა. "ნიჭი აშკარად ეტყობოდა ამ ლამაზ ბიჭს. ამიტომ გავრისკეთ და დღეს ძალიან შეამყვება გიორგი. დარწმუნებული ვარ მისი სოლო კონცერტები კიდევ უფრო ტიტულოვან დარბაზებში გაიმართება. ეს დღე და ეს კონცერტი მისი პროფესიული წარმატებების დასაბამად მინდა იქცეს. ზუსტად ვიცი ასეც იქნება." - ამბობს სკოლის დირექტორი.

ასეთი გახლდათ ბიჭი, რომელიც თქვენს წინაშე წარსდება. დიას, ბევრების პარმონია ერთ მუსიკალურ მელოდიას ქმნიდა იმ დარბაზში და ამას გიორგი სტურუას სოლო კონცერტი ერქვა. ტიტულოვანი დარბაზების ფონზე მერე პატარად მოეჩვენება გიორგის მშობლიური სკოლის ეს დარბაზი, ახლა რომ ყველაზე დიდა მისთვის. აქედან დაწყებული წარმატება, მისი ცხოვრების მთავარი ნიშა უკვე გახდა. დანარჩენი წინაა, "ბიჭი ორკესტრის" ნიჭიერებით დასაერავი

შით გავითხარი იქნის აზრები

თბა ბავშვანობილი

იმ დღეს ყველაზე უფრო კამპანა იყო მზე და ფერადი დღე. იმ დღეს კიდევ ერთი თაობა ემშვიდობებოდა მშობლიური ბაგა-ბაღის კედლებს, განსაკუთრებით რომ მორთულიყო. ბავშვური ჟრამული დედამისის საგალობელს ეხმანებოდა და დარბაზში მზედ იღვრებოდა. ყველაფერი მოუყვანენ შერებები მშობლებს, სპეციალურად მათ სანახაუდ სკოლაში დაწესებული ბავშვთა გაერთიანებიდან მოსულ სტუმრებს. მოუყვანენ, როგორ გაფრინდნენ წლები ამ დიდფანჯრიან, საოცრებებით სავსე შენობაში, რომ დღეიოს კალთას პირველად სწორედ აქ მოშორდნენ, რომ დიდხანს ტიროდნენ მათ მლოლინიში, მიუხედავად იმისა, აქ მზრუნველობა და აღერსი არასდროს მოკლებიათ. თუმცა მამინ ძალიან პატარები იყვნენ. ახლა კი გული-სწვევებით ემშვიდობებიან საბავშვო ბაღის კედლებს, მერე, უკვე დიდი გოგო-ბიჭები დიმილით რომ მოიგონებენ.

ის ლამაზი ზეიმი, საოცარ სანახაობად რომ აქციეს პატარებმა ქალაქის №11 ბაგა-ბაღში გაიმართა. მას გამოცდილი პედაგოგი გოგოლა კარტოზია უდგას სათავეში და ვინ მთვლის, მერამდენე თაობას გზას ულოცავს სკოლისაკენ. ეს საბავშვო ბაღი

გახლავთ ადგილი, რომელშიც ამ პატარებზე გაცილებით ადრე მათმა დედიკოებმა და მამიკოებმა განველეს ბავშვობის წლები.

ლექსებით, სიმღერებით, ლამაზი ცეკვებით აავსეს იქაურობა. ერთხელაც არ შეშლიათ, არ დავიწყნაით არც ერთი სტროფი. ასახელეს პედაგოგები, რომლებმაც მთელი გულით მოამზადეს ისინი ამ დღისთვის. მათი საყვარელი მასწავლებლები, აღმზრდელი მათი მეგობრები, თანამშემე ქეთინო პაიციძე, ძიძა მაგული ჩიხლაძე, მუსიკის პედაგოგი მათა გურიელიძე, მეთოდისტი ნატო ხუჭუა, კიდევ ერთხელ აქედნენ ამ პატარებს და გულში იერადნენ სკოლაში გამგზავრების წინ. ქორეოგრაფი ლეკა სიხარულიძე ცეკვების მომზადებაში საკუთარი სურვილით დაეხმარა მათ.

ამ დღისთვის ისე როგორ მოემზადებოდნენ, მეცადინეობისას მასწავლებლებს გულდასმით თუ არ მოუსმენდნენ! ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ბევრი უსწავლიათ, მათი ასაკის შესაფერისი განათლება მიუღიათ. წარჩინებულები ვიქნებითო სწავლაში, დაჰპირდნენ საყვარელ ლეილა მასწავლებლებს სკოლის საოცრებებით სავსე სამყაროში, ბავშვობის ახალ ეტაპზე გადასვლის წინ.

გზა ბევრმა დაულოცა: ეს გულწრფელი სიტყვები ლოცვად უნდა გა-

ყვეს მათ ცხოვრებას, სულ ახლა რომ იწყებენ და დედაზე, მეგობრებზე, სამშობლოზე ზრუნვით რომ უნდა განვილონ. მერე კიდევ სხვებს გაუღებს კარებს მშით გამობარი ეს კერა. ის სხვები მომავალი თაობები იქნებიან, ამ პატარების შვილები და შვილიშვილები, ისე როგორც ამჯერად იყო, აქ აღზრდილი დედიკოები და მამიკოები ისევე ამ მადლიან კედლებში დიმილით რომ უცქერდნენ საკუთარ შვილებს.



შთახეივანი ციხეებით ცაცქირითყოლი. ემოციური ციხე

ნათია ნაცვლიძე

სამტრედიის მეთიხე ბაგა-ბაღის 5-ნ წლიანთა ჯგუფი "ლიბილის" გამოშვება... მარინა კაკაბაძის აღსაზრდელები სანახაობრივად საინტერესო ღონისძიებაზე გვეპატივებენ! ყველა ვიხილეთ, რომ ძნელი პატარებთან მუშაობა და ამ დროს, ხედავ, შედეგები წარმოაჩენენ ამ შრომის განსაკუთრებულ შედეგს! როგორ შეძლეს პატარებმა ასე გამართულად მეტყველება, ასე შთაბეჭდილებები ცეკვა-სიმღერა, სწრაფი ვარდასახეები ზღაპრის გმირებზე... შეიძლება ითქვას, ჩვენს მუნიციპალიტეტში ბაგა-ბაღებში შემოქმედებითი თამაშის ძალიან მაღალი დონეა, იმდენად მაღალია, რომ სასკოლო ღონისძიებებს მიუახლოვდნენ.

გვაცხადებს ბაგა-ბაღის მმართველიც თავისი კრეატიულობით, ყოველთვის გვაქვს მოლოდინი, ის სონტანურად შემოუერთდება ღონისძიებას და თემატურად დაამშვენებს მას. ორმაგად ემოციური იყო ის დღე ნანა ღუნდუასათვის, ღონისძიების პარალელურად მას ქალაქის მერთან, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სათათბიროდ წასვლა მოუხდა, მაგრამ ცაიტნოტში სამოსის გამოცვლა შეძლო და საღამოზე კაპიტანის ფორმით გამოცხადდა...

თანამედროვე სამოსში მორთულმა ულამაზესმა გოგო-ბიჭებმა დევიზად აირჩიეს სიტყვები: "ჩვენ გვიყვარს სიცოცხლე!". მამ ასე, მქეფარებს სილამაზე და ნიჭიერება სცენაზე! "წუხელ არც მიძინია, არ ვიცოდი მიხაროდა, არ ვიცოდი, მწივინდა, მიხარია, რომ სკოლაში მივდივარ, მწივინს, რომ საყვარელ ბაღში აღარ უნდა ვიარო!" - წარმოსთქვა თამარ დვალაძისთვის. პირველი ნომერი საყვარელ დედიკოსს მიუძღვნეს სიტყვებით: დედიკო, ჩვენ გვიყვარს სიცოცხლე, შენ რომ გვაჩუქე! ეს იდეა პედაგოგს ბარბარე ფირცხალიაშვილის ნახატმა შთააგონა, ბარბარემ დახატა გული,

რომელსაც ჰქონდა თავი, ფეხები და ხელები. - ეს დედიკოს გულია, მე კი მის გულში ვხივარო, ასე ახსნა ნახატის არსი პატარამ. პატარებმა "იანანას" მელოდიზე გულელების ვალს იცეკვეს, ცეკვას "სიყვარულის შადრევანი" დაარქვეს! მარინა კაკაბაძე რომ ნოვაციების დიდოსტატია, ახლაც გამოვლინდა! ერთ დღეს აღსაზრდელებმა ერთმანეთს ჯგუფში ახარეს, რომ მამებმა ისინი პავერბორდებით დაასაჩუქრეს. ბავშვებმა ეს პავერბორდი სკოლაში მოიტანეს, ეს კი მარინა კაკაბაძისათვის ახალი ქორეოგრაფიული ნომრის ინსპირაცია გახდა! ასე შეასრულეს 21-ე საუკუნის ქართველებმა, პავერბორდზე შემდგარმა ანდრია ქვანახიამ და ნინეო კაკაბაძემ ცეკვა ქართული. ამან პუბლიკა მონუსხა და გააოგნა!

ბავშვები ის ადგილია, სადაც უფროსი



ხუტა იგი გულში ნანა გამგემ დღის მოსვლამდე. - მე ის ნაირივე ახლაც მიყვარსო, ბრძანა დალი მასწავლებელმა. ბავშვებმა მარინა მასწავლებელთან დილით ყოველი შეხვედრის უჩვეულო ტრადიციაც გაიხსენეს. დააკუნებს და დაიმალება, მისი დასამლი ყველა ადგილი ვიცო, გვეტყვილქართულება პატარა გოგონა. მერე გვეტყვის: აბა, დაიჭირე ჩემი კოცნები, მე ყველზე მეტი კოცნა დავიჭირეო! მერე მარინა მასწავლებელი გულში გვიყვარს და გვეხუტებო. ასევე გულში იყვარეს პატარებს აღმზრდელების თანამშრომლები, შესანიშნავი ქალბატონები, ნანა უვანია და ლია შუბლაძე.



ბავშვებმა ულამაზესი პეპლების ვალსი შეასრულეს, ესანური ვალსით ბარბარე ფირცხალიაშვილმა მოგვიხატა. ცეკვა ბოშურით - ანასტასია ზამთარაძემ. შესანიშნავად შეასრულა ტანგო ზუკა კობახიძისა და თამარ დვალაშვილის და ნინეო ნიკურაძისა და ნიკოლოზ ვაშაყიძის წყვილმა. ღონისძიების კულმინაცია

სცენაზე აღმირალის ფორმში გამოწყობილი ნანა ღუნდუას გამოჩენა იყო. პატარა მწვლეაურები სიმღერით მიესალმნენ მმართველს და ერთად შეასრულეს მწვლეაურების ცეკვა! - კაპიტანო, კაპიტანო, გელოდებით, უთქვენობით მოვიწყინეთ გემბანზე, კაპიტანო, კაპიტანო გეფერებით, თქვენ ხართ ჩვენი დიდი გემის მესაჭე! - ამ სიმღერის ტექსტის ავტორიც ნანა ღუნდუაა, რომელსაც ბავშვებმა სწორედ ეს სტროფი მიუძღვეს მას. დარბაზში საზეიმო ტორტიც შემოაბრძინეს, გადამიღო "დედა ენაში" ყველა მოსწავლის გვარ-სახელი იყო ამოქრული.

ფერადმა ოცნებამ ფერადი ფანქრებით...

ნათია ნაცვლიძე

ამ ბაგა-ბაღის ბავშვები თანაბარ ინტერესს იწვევენ, ბაღის კედლებში ჩატარდება თუ მის გარეთ. გვაღვთი დასიცხულ და წვიმის მინატრებულ ქალაქს იმ საღამოს მართლაც ეწვია სანატრელი თქეში, ოღონდ, ფორტუნა ამკარად მეთხებდავლთა მხარეს იყო! როგორ შექმლო წვიმას ჩაემალა ულამაზესი გოგო-ბიჭების საათ-ნახევრებიანი გამოსაშვები ღონისძიება რესტორან "თეთრი გედის" ეზოში! თავადაც გედებს ჰკავდნენ თეთრ სამოსში გამოწყობილი პატარები.

წამყვანის მისია, ტრადიციულად, შეუდარებელმა მმართველმა, შემოქმედებითმა ქალბატონმა, ნანა ღუნდუამ ითავა. მუსიკალურ თუ ქორეოგრაფიულ ნომრებს შორის, რომელთაც ბავშვები დიდი დახვეწილობითა და ემოციით ასრულებდნენ, ნანა ღუნდუას მიერ წაკითხული ლექსები ისმოდა. ღონისძიებას მუხტი არ განელებია, ემოცია არ დაკარგულა. მუსიკის პედაგოგი ლელა გოლიაძეა. სწორედ მან შეასწავლა შესანიშნავი სიმღერები ამ პატარებს. ცეკვები კი აღმზრდელმა, ცეკვის დიდმა დამთავსებელმა, მკა ჯანელიძემ დადგა. ძირითადად, ევროპული ცეკვები შესრულდა, აჭარული ცეკვა კი განსაკუთრებული ცეცხლოვანებით

იცეკვეს. სანახაობრივად საინტერესო ღონისძიების მონაწილეებმა პატრიოტული შინაარსის ლექსები ომხანანად და ვაგაკურად წაიკითხეს: "მე გორგასალის სამშობლოდან ვარ, სადაც სიმღერით ომებს იგებენ, სადაც ყოველი ლექსად საუბრობს!"

აღმზრდელი მკა ჯანელიძე, აღმზრდელის თანამშრომლები ნანა ნადირაძე და ნანა ჯუღაყიძე ულამაზესი პატარების მხიარულებას შეუერთდნენ.

მკა მასწავლებელმა დედობრივი სიყვარულით დალოცა პატარები: "მჯერა, ჩემი დათესილი მარცვალი თქვენს გულში გადვივდება და თქვენი დედიკოები და მამიკოები თქვენით იამყებენ, მხოლოდ მაშინ აივსება ჩემი გული სიხარულით!" ჩვენი გულელების ბაგაბუგს გაიგონებთ, თუ მოგვისმენით, გვითხრეს პატარებმა. დედაჩენა მშობელი დედასავით ტყბილიაო, გვარწმუნებენ ცელცი გოგო-ბიჭები. დედაჩენასაც უძღვეს. საოცრად ემოციური და თბილი სამყარო შექმნეს და სიმღერითვე დასძინეს: "ფერადმა ოცნებამ ფერადი ფანქრებით ფერადი სამყარო დახატა!" "ძალიან დაამშვენა საღამო თეთრი წინსაფრით, სკოლის მოსწავლის ფორმით ბაღის მმართველის გამოჩენამ. ნანა ღუნდუამ უძღვრა საყვარელ პატარებს, მერე გულში ჩაიყრა ყოველი მათგანი და გზა დაულოცა.

სკოლამდელი გაერთიანების უფროსის მოადგილე, მარინა შენგელია: "გზა მშვიდობისა, ჩვენი პატარები, მინდა, უდიდესი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, პედაგოგებს, მმართველს, მეთოდ-

ისტებს ამ დიდი შრომისათვის, გილოცავთ, თქვენ წარმატებით დაასრულეთ ცხოვრების პირველი ეტაპი და საინტერესო აღმოჩენებს გისურვებთ მომავალში. იყავით ისეთივე ლაღები, სპეტაკები, გულწრფელები, როგორებიც დღეს ხართ. არჩევნულგებრივი შეილება გვათ, მშობლებო!"

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების შესყიდვების სამსახურის უფროსი, ქეთევან ივანიშვილი: "მადლობა, ბავშვებო, ამ შესანიშნავი დღისათვის, გისურვებთ, თქვენი მომავალი იყოს ლაღი, ცხოვრება არ იყოს პრობლემებით დატვირთული, მადლობა ყველა პედაგოგს, რომელთაც დედობრივი მზრუნველობა აქვს თქვენთვის გაწეული, დღეს ყველამ დაინახეთ, რა მომზადებულები გადიან ბავშვები საბავშვო ბაღიდან, მადლობა მმართველს, ნანა ღუნდუას ხედავთ, როგორ იღვწის ის თავის თანამშრომლებთან ერთად, დიდთან დიდია და პატარასთან პატარა. მადლობა მეთოდისტებს, მშობლებს. დაწმუნებული ვარ, ბავშვებო, თქვენს მხრებზე რომ გადმოვა ქვეყნის ტვირთი, დირსეულად ზიდავთ და დირსეული მამულიშვილები იქნებით! მადლობა გაერთიანების თანამშრომლებს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომლებიც შესაძლებლობების ფარგლებში ცდილობენ თქვენი ყოფითი პრობლემების გაუჭლობესას."

ასევე მიესალმნენ მოსწავლეებს და წარმატებული მომავალი უსურვეს მათ მეთოდისტებმა, მარინა ბაღდავაძემ და მარინა ქოჩოვაძე.



“ორუდილასთან” ერთად ბატარეული 25 წელი

ნათია ნაცვლიძე

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი ჯგუფი მეოთხედი საუკუნისათვის საიუბილეო თარიღი ანსამბლმა ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში გრანდიოზული კონცერტით აღნიშნა. შესრულებული იქნა “ორუდილას” სულისჩამდგმელისა და უცვლელი ხელმძღვანელის, კომპოზიტორ ნონა ჭახნაიას მიერ დაწერილი საბავშვო სიმღერები, რომელიც ყოველთვის წარმატებით სრულდება არამარტო სამტრედიის სცენაზე, “ორუდილას” მოძღვრებით ამ სიმღერით საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ფესტივალსა და კონკურსებში იწონებდნენ თავს.

ნონა ჭახნაიას საავტორო კონცერტზე ნეკოდენები, ცეროდენები და “ორუდილას” უფროსი თაობა ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. აუღერდა სიმღერები, რომლებსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა შემსრულებელი ჰყავდა.

სერგი კარაგაშაიანის ნამღერ “ტანგოს” დარბაზში სიამოვნებით ისმენდა მარინა ქართველიშვილი, რომლის ვაჟისთვის, შაკო ლაღანიძისთვის დაწერა თავის დროზე ნონა მასწავლებელმა ეს სიმღერა.

დები მინაშვილები, და-ძმა კრავიშვილები, ტყუპი ძმები გიგინეიშვილები დასთან ერთად; დღემდე ტრადიციულად მოდის – დას და ძმა მოჰყავს, ძმას –

და, მეზობელს – მეზობელი და ასე იქმნებოდა წარსულში დუეტები, ასე შექმნა “ორუდილამ” თავისი ისტორია, რასაც ბოლო დროს დედა-შვილის დუეტებიც დაემატა. საავტორო კონცერტზე “ორუდილას” პირველი თაობის მოძღვრლებმა ირმა ადამიამ და მერი ტკეცერიამ შვილებთან, პატარა “ორუდილებთან” ერთად შეასრულეს სიმღერები.

“ორუდილას” შემოქმედებით წინსვლაში დიდი წვლილი მიუძღვის ქორეოგრაფ ნანა ბებია, რომელიც წლებია, თავისი ქორეოგრაფიული კომპოზიციებით ულამაზეს ანსამბლს სადამოებს. საიუბილეო სადამოზე ნანა ბებია პატარებისთვის სასცენო კოსტიუმებიც მოიფიქრა. რაც შეეხება ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს, ელიო ანკვაბს,



“ორუდილები” მას ერთგულ და უფროს მეგობარს უწოდებენ. მხატვარ-დუეტორმა ნანა რუხაძემ ამჯერადაც იზრუნა და ორიგინალურად გააფორმა სცენა. “ორუდილას” იუბილე მიულოცეს შოუ-ბალეტ “ფანტაზიამ” (ხელმძღვანელი ქრისტინე ზაქარაძე) და ღმერთი შანიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის ვოკალურმა ანსამბლმა “მხიარული ნოტები”.

ბოლოს სცენაზე დადგა ანსამბლის ყველა თაობის წარმომადგენელი და შესრულდა ჩვენი ქალაქისათვის ჰიმნად ქცეული სიმღერა “სამტრედიის სიყვარული”.



ის ქალაქი”. ყველა სამტრედიელის სახელით “ორუდილას” იუბილე მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიან ფოცხვერიამ.

კომპოზიტორმა, ნონა ჭახნაიამ ტრადიციას არც ამჯერად უღალატა, ამ საიუბილეო სადამოსთვისაც შექმნა ახალი სიმღერა, რომლის პრემიერა კონცერტის დასასრულს შედგა.



ობას უეცხად ადამიანებს, რომლებიც ამ ხნის მანძილზე ერთგულად და სიყვარულით დგანან “ორუდილას” სამსახურში. ესენია, ჩემი უსაყვარლესი ადამიანები ქორეოგრაფი ნანა ბებია, სამხატვრო ხელმძღვანელი ელიო ანკვაბი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, ტატა გოგუაძე და უცვლელი მხატვარი ნანა რუხაძე ჩემი შემოქმედებითი სადამოს კულმინაცია იყო სიმღერის პრემიერა, რომელიც სპეციალურად დაწერე დ. შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლის საესტრადო განყოფილების ანსამბლისთვის “მხიარული ნოტები”, რომელსაც თავად ვხელმძღვანელობ. სიმღერებმა მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

მინდა, მადლობა გადაუხადო სახელოვნებო სკოლის დირექტორს ქალბატონ ირმა შანიძეს თანადგომისთვის და მხარდაჭერისთვის ყველა ახალ წამოწყებაზე. მადლობა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მუდმივი თანადგომისათვის”.

სადამო მიჰყავდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ღონისძიებების ორგანიზატორს, ქალბატონ ნატა ჯიქიას. ნონა ჭახნაია, “ორუდილას” მუსიკალური ხელმძღვანელი: “ბედნიერი ვარ, რომ საუკუნის მეოთხედი, ვდგავარ სცენაზე და ჩემი მოერბადებული საქმიანობით შემაქვს წვლილი ჩემი საყვარელი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. “ორუდილას” 25 წლის იუბილეს და მადლ-

დიდი მხიარულება “ორუდილასში”

ნათია ნაცვლიძე

25 წლიანი იუბილე ანსამბლმა “ორუდილამ” რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფის კონცერტით აღნიშნა. მეორე კონცერტი მოსამზადებელი ჯგუფისა და ანსამბლის უმცროსი თაობის წარმომადგენლებმა ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე გამართეს. კომპოზიტორი ნონა ჭახნაია წლებია, აზიარებს ახალ თაობას მუსიკის სიყვარულს. ანსამბლის ქორეოგრაფი ნანა ბებია, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელი, ელიო ანკვაბი. ამ კონცერტზეც, ისევე, როგორც წინა კონცერტებზე, კომპოზიტორის არაერთი სიმღერა აუღერდა. წარმოდგენილი იყო საინტერესო რეპერტუარი. სადამო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა პარლამენტის წევრმა, ლუკა ტულუშმა შესანიშნავად წაიყვანა.

ულამაზესმა პატარებმა ბრწინვალე სადამო აჩუქეს “ორუდილას” ტრადიციულ გულშემატკივარს და გაამართლეს სადამოს სლოგანი: “მხიარულება “ორუდილაში”.

დუეტით წარსდგნენ ნინი კაშმაძე და გეგა უგულაია. მინი მუსიკალური სპექტაკლი “საორტსმენი იხვი” წარმოადგინეს სოლისტებმა ჟანა მელქიძემ და ნიკა ხარებავამ და მათმა თანხლებმა ანსამბლის წევრებმა (იხვებმა და დედლებმა). ეს სიმღერა მორის ფოცხველის

ტექსტზე ნონა ჭახნაიამ წლების წინ დაწერა. რუსა მორჩილაძის “სიმღერა სიყვარულს ჰგავს” მამო ალფაიძემ შესანიშნავად შეასრულა. “ფერად ქალაქზე” თათული მინაშვილმა იმღერა, მარიამ მიგინეიშვილი იტალიური სიმღერით წარსდგა პუბლიკის წინაშე. “მე და ბებია” ნინი კაშმაძემ გვიმღერა. სულხან ცინცაძის “თბილისო” ნიტა გერასიმენა შესრულა, მანვე განსხვავებულ ფორში წარმოგვიდგინა “მამას იავნანა”. ნიკა გოგეიშვილი სიმღერით “ტრიალებს, ბრუნავს” წარსდგა მსმენელის წინაშე. ანა ხარებავამ ნონა ჭახნაიას სიმღერით მოგვხიბლა, სიმღერის სახელწოდებაა “ანა არუკი”. ეს სიმღერა თავის დროზე პატარა ანა ჩრდილულს დაუწერა ნონა ჭახნაიამ. პატრიოტული სიმღერა “ანა ბანა” ლაზარე ლევაშვიმ შეგვისრულა, პეპიც (ნიტა გაბრიჭიძე) შემოიჭრა სცენაზე და მხიარულება დაატრიალა. “ჰუკუელა” პანოს რეპერტუარიდან საბა ხარებავამ იმღერა. მხიარულება გაგრძელდა ელენე კვანტალიანის შესრულებული სიმღერით “დილით, როცა ცაზე მზე ამოვა”... ჩოხებში გამოწვობილმა ნოდოლ და ნიკოლოზ მიგინეიშვილებმა ქართული კინომუსიკა ააქვდრეს, პატრიოტული სულისკვეთება გააგრძელა გეგა უგულაიამ სიმღერით “მიდი, მიდი მოვდივარ”. ელენე რუხაძისა და ნინო შანიძის დუეტმა ბებებისდროინდელი “ტრიალებდა პატეფონით” მოგვხიბლა. ფინალური სიმღერა ყველა მონაწილემ ერთად შეასრულა და სიმღერით “რა ლამაზი დღეა” დავემშვიდობნენ.

კონცერტის შემდეგ ნონა ჭახნაიას გავესაუბრეთ: “მადლობა ქორეოგრაფიული კომპოზიციების ავტორს, ნანა ბებია, რომელთან ერთადაც ვქმნი “ორუდილას” ყოველდღიურობას. მადლობა

ელიო ანკვაბს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს, ტატა გოგუაძეს, ჩვენს სამხატვრო ხელმძღვანელს, მხატვარ ნანა რუხაძეს, ყველა მშობელს და ჩემს უსაყვარლეს ბავშვებს, რომლებიც ყოველთვის ცოცხლად მღერიან”.

ტატა გოგუაძე: “მიულოცავ “ორუდილას” საიუბილეო თარიღს, უამრავი თაობა აღზარდა ამ ანსამბლმა, ძალიან ლამაზად და შემოქმედებითად განვლეს ეს 25 წელი, უამრავი სიმღერა დაიწერა, სპეციალურად “ორუდილასთვის” ყველა მრგვალ თარიღს ახლდა გამორჩეულად ლამაზი ახალი სიმღერა, ამ სიმღერების ავტორი ქალბატონი ნონა ჭახნაიაა.

ეს მოსამზადებელი ჯგუფი იყო, იყო ბევრი დებიუტანტი, ბავშვებმა ცოცხლად შეასრულეს ყველა სიმღერა, ძალიან კმაყოფილი ვარ, წარმატებებს უსურვებ ანსამბლს, დიდი მადლობა ქალბატონებს: ნონას, ელიოს და ნანას, თოვლს შემოქმედებითი ჯგუფის ამ დიდი შრომისათვის, რასაც წლების განმავლობაში ეწევიან, რომ საბოლოო შედეგი ასეთი იყოს”.



ღელა, სკოლაში ყოველთვის ყნა ვიარა?

ამიერკავკასიის რეინციზის სამტრედიის №24-ე (ამჟამად მე-12 საჯარო) საშუალო სკოლა 1963-1964 სასწავლო წელს დაემათავრა. კლასში 20 მოსწავლე ვიყავით, აქედან 15-მა კურსდამთავრებულმა უმაღლესი განათლება მიიღო. ისინი სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ. ორი მედალოსანი გვყავდა: ვაჟა ხუჭუა და ტურთა ცინცაძე. ვაჟა ხუჭუა ფიზიკოსი და დღემდე ნაყოფიერად მოღვაწეობს საქართველოს თავართქილამის სახელობის უნივერსიტეტში.

მინდა, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გაეხსენო ჩემი მასწავლებლები: ქსენია ლაღანიძე, რაჟდენ კრავეიშვილი, გივი კალაძე, ლეო მოწობილი, ნინა წიქორიძე, ზინა გაგუა, თამარ ჯანელიძე, შურა კახაძე, ანა ტეპლიცკაია, დიდი ჭანტურია-ნიკოლოშიძე, დავით ანდრიაძე და სკოლის სასიქადლო დირექტორი, სკოლის სახე და ღირსება, ქალბატონი შუმანა ქართველიშვილი. შემდეგში თაღვიო მიქაძე, გიორგი კანდელაკი.

70 წელს გადაცილებული ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები დიდი სიყვარულით იხსენებენ ამ შთამბეჭდავს გაკვეთილებს, რომელთა შთამბეჭდავი ძალა დღესაც ცხოვრების საგლად თან დაჰყვებათ.

იმდენად მიყვარდა ქსენია ლაღანიძის მიერ ჩატარებული ბიოლოგიის გაკვეთილები, რომ არ მქონდა უფლება, ბიოლოგი არ გამოეხსენებინა. ქსენია მასწავლებელი იყო მაღალი ზნეობის და ერუდიციის პიროვნება, ნამდვილი აღმზრდელი, რომელმაც გულით შემაყვარა ცოცხალი ორგანიზმები – ფლორა და ფაუნა. მისდამი სიყვარული და პატივისცემა იმით დაგვაფასე, რომ მეც მის პროფესიულ გზას და ნაკვალევს გავყევი, რაც დიდ ბედნიერებას მანიჭებს.

მოგონებები მომეძალა. მახსოვს ასეთი შემთხვევა: ჩვენ, მაღალკლასელები ყოველ შემოდგომაზე კოლმეურნეობებს

მოსავლის აღებაში ვეხმარებოდით. ერთ დღეს გამოვეცხადეს, ხვალ თუ კარგი ამინდი იქნება, ყანისთვის მომზადებული მივსულიყავით. ცუდი ამინდის შემთხვევაში გამოვეცხადებოდი სკოლაში. კლასელებმა მოვილაპარაკეთ, თუ ამინდი გაუარესდებოდა, არც ერთი არ მივსულიყავით სკოლაში. მე თავის ტკივილი მოვიმხმე და სკოლაში არ წავედი. ათის ნახევარზე, ჩემთან სახლში ჩვენი კლასის დამრიგებელი გივი კალაძე მოვიდა და დედამეც სთხოვა, სკოლაში გავეყავი. ცოცხალი თავით არ მიხდოდა წასვლა, მაგრამ დედამ მითხრა, მე მასწავლებელს პირობა მივეცი და რომ მოვედე, სკოლაში უნდა წახვიდეო. სკოლაში მისულს მხოლოდ ორი მოსწავლე დამხვდა, ისინიც ჩემსავით ძალით მივეანოლები...

კიდევ ერთ ფაქტს გავიხსენებ. ეს სტუდენტობის პერიოდს ეხება. მე პედაგოგიური ინსტიტუტის საღამო დასწრებულის განყოფილება დაემათავრე. ვსწავლობდი და თან ვმუშაობდი. ერთხელ, ლექციის დროს შუქი ჩაქრა (სხვათა შორის, ერთი ლექციაც არ მქონდა გაცდენილი) და კურსელები ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, იხა აუდიტორიაში იქნება და შედით, გარეთ გამოიყვანეთო.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ რაიონს დავებრუნდი. ქალბატონი თაღვიო მიქაძე, რომელიც სკოლაში ისტორიას მასწავლიდა, წლების შემდეგ №3 საშუალო სკოლის დირექტორი გახდა. ის გულთბილად შემხვდა და საიმპონებოთ გამილო რაიონში ერთ-ერთი წარმატებული სკოლის კარი და მახიარა პედაგოგის პროფესიას. მე მომიწია მოღვაწეობა ისეთ ბუმბერაზ პედაგოგებთან, როგორებიც იყვნენ: დავით ჩხეიძე, ნომრეჯან გაგუა, ნონა ნაცვლიშვილი, მაგრა ლორთქიფანიძე, ციმა ვაშაიძე, ტატიანა საღინაშვილი...

ბედნიერებას მანიჭებს ის ფაქტი, რომ ჩემი აღზრდილი მოსწავლეები დღეს ჩემ

გვერდით მოღვაწეობდნენ და უდიდესი წვლილი შეაქვეთ მომავალი თაობების აღზრდაში. ასეთები არიან მარეხ და ლამიზრა თევზაძეები, სოფიკო ზამთარაძე. ისინი №3 საჯარო სკოლის წარმატებულნი პედაგოგები არიან.

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები ცნობილი პიროვნებები და საინჟინრო მოქალაქეები გახდნენ: კახა კალაძე, კახა შენგელია, სოფიკო ტერელაძე, მერი არაბიძე, ეკა ხვედელიძე, ზვიად სტურუა, მარინე ნუცუბიძე, ასლან ბახტაძე, გიორგი ნაფეტვარიძე, ვახტანგ ღუნდუა, სოფიკო ადამია, ხათუნა ფაილაძე, ირინა ახობაძე და სხვა (ყველას ჩამოთვლა ძალიან ძნელია 42 წლის პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ, მომიტყევენ, იქნებ ვინმე გამოძრია).

მინდა, ერთი ასეთი შემთხვევა გავიხსენო: ერთხელ, მე-9 კლასელები “მატალოზე” წავიდნენ და ამაში ჩემი გაკვეთილიც მოხვდა. შემდეგ გაკვეთილზე მე მთელ კლასს შევხვდი და ვესაუბრე სიყვარულზე, მეგობრობაზე, ადამიანურ ღირებულებებზე, ცოცხალი ორგანიზმების, ფლორისა და ფაუნის დაცვის აუცილებლობაზე. ამ კლასმა სკოლა ორი წლის შემდეგ დაამთავრა და ბოლო ზარის დროს სოფიკო ადამიამ ასეთი რამ თქვა: “მე სხვა პროფესიის არჩევა მინდოდა, მაგრამ იხა მასწავლებელი ისეთი სიყვარულით, პროფესიული ოსტატობით და დამაჯერებლობით გვესაუბრებოდა საგანთან მიმართებაში აზრი შევიცვალე, როცა პროფესიის არჩევანის წინაშე დავდექი, სწორედ მისმა საუბრებმა დამარწმუნა იმაში, რომ ბიოლოგი უნდა გაემხდარიყავი”. როცა ამას ამბობდა ის ტირიდა. სოფიკო ადამიამ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი და დღეს ამერიკის შეერთებული შტატებში კიბოს დაავადებების საწინააღმდეგო წამლების დამზადების ცენტრში მუშაობს, პარალელურად, ერთ-

ერთ სამედიცინო კოლეჯში ბიოლოგიის საგანს კითხულობს. როცა ამაზე ვსაუბრობ, სიამაფით ვივსება.

მოგონებები არ მასვენებს... როცა დედამ პირველ კლასში შემიყვანა, იქ დამხვდა უამრავი მოსწავლე. პირველ გაკვეთილზე შესვლის ზარი დაირეკა, ყველა კარს მიაწვდა, მე ვერ შევძელი საკლასო ოთახში შესვლა, დედამ მიუბრუნდი და ვეკითხებო: “დედა, სკოლაში ყოველდღე უნდა ვიარო?” და მე იმ დღის შემდეგ დღემდე სკოლაში დავდივარ. ალბათ, იმდენად უნიჭო ვიყავი, ჯერაც ვერ დავამთავრე სწავლა”. პედაგოგიურ მოღვაწეობას 42 წელიწადია ვეწევი ჩემთვის ძვირფასს, №3 საჯარო სკოლაში, რომელთანაც განმორება, ვფიქრობ, რომ მიმდის... ბიოლოგს, რომელსაც ყოველდღიური შეხება აქვს ცოცხალ ორგანიზმებთან, არ შეიძლება, არ უყვარდეს მომავალი თაობა, ბავშვები. ამას მათი წერილებიც ადასტურებენ.

იხა შპანია №3 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი


იხა მასწავლებელი, ყველასთვის კეთილი და კარგი, ძალიან მიყვარხარ!!! გაბრდებით, რომ სულ ვიმეცადინებ!!!

ჩემთვის თქვენ მასწავლებლებში ნომერ პირველი ხართ. მინდა, რომ კიდევ 100 წელი იცოცხლოთ! მიყვარხართ!

მარიამ ჯურაბაძე, 66-70 წლის

იხა მასწავლებელი, მიყვარხართ! მარიამისაგან...

იხა მასწავლებელი, ძალიან მიყვარხარ მისხარა ის დღე, როდესაც თქვენ გაკვეთილი მაქვს. მე გაძლეეთ პირობას, რომ ყოველთვის ვიქნები მომზადებული. მართალია, ის გამონათქვამი, რომ მასწავლებელი აყვარებს მოსწავლეს საგანს. ძალიან მიყვარხართ. სწორედ თქვენ ხართ ნამდვილი პედაგოგი, ვისურვებ



ეს დიდხანს და დიდხანს იცოცხლეს. მარიამ სინარულიძე

.....

იხა მას! გაგივ, რომ თქვენ ჩვენს სკოლას შემდეგი წლიდან ტოვებთ. მე ძალიან მეწვინა ეს ყველაფერი. ბოლოს გიხდით, რომ ზოგჯერ შენიშვნა მოგაცემინეთ. მე ძალიან მიყვარხართ, მიყვარხართ და მეყვარებით. თქვენი წასვლის შემდეგ სკოლას ერთი უტკვიანესი და უსაყვარლესი მასწავლებელი გამოაკლდება დამერწმუნეთ, ძალიან მიყვარხართ, ჩვენო უსაყვარლესო მასწავლებელი! თქვენს იმედებს ვაგაპართლებ და ყველა, მათ შორის თქვენს საგანს საუკეთესოდ ვისწავლი. ამაში ეჭვიც არ შეგეპართო. მიყვარხართ და მოგვენატრებით! ჩემი თხოვნაა, რომ ზოგჯერ სკოლაში მოხვიდეთ!

თინათინ საბა მანჯავაძე


.....

იხა მას! ძალიან გვიყვარხართ. ძალიან ლამაზი ბრძანდებით. ძალიან მოგვენატრებით. საუკეთესო ბრძანდებით. გთხოვთ, არ წახვიდეთ. მართალია გაბრაზებთ, მაგრამ გულის სიღრმეში ამით გამოვხატავთ ჩვენს სიყვარულს. ამას გეუბნებით ადრეც და გეტყვით ახლაც, ძალიან გვიყვარხართ!

მე-7 კლასის მოსწავლეები

პატივი ემი დედასა

ტყისპირად სხედან მზის გულზე მგელი, ტურა და მელია, ფრთა გაუშლიათ მიმოზნებს, თუმცა ტყე მაინც ბნელია... მიტომაც არის საშიში, შიში კი დამთრგუნველია, მგელი მგლობას არ დაიშლის, არც ტურა და არც მელია. ყველას სურს თავის არჩევი, არ დაეთანხმო ძნელია. ტურას და მელას არ ვჩივი, მაჩვიც რომ სისხლის მსმელია?! ყველას ჰყავს თავის ნათლიაც, მეგდრებელი თუ მგოსანი, გარემოს ფხიზლად მცნოსავი. ასე რომ, ყველას თავისი სამყოფელი და წესი აქვს, ლომსაც ფაფარი აშლია, და ამბობს – წესი წესია! ჩვეულება კი ხომ ვიცით, რომ რჯულზე უმტკიცესია, მაღლა ცაზე კი მტრგინავი, გინდა, არ გინდა ზევსია... პატივი ეცი დედასა, ყური მიუგდე მამასო, ჩემი დარჩეულ ლობიოს, არ გაუნებთ, გირჩევთ ჭამასო. ვინაც ტყის კანონს გადავა, ბრძენი არი თუ ბაღლია, ან მგელი შეჭამს, გახსოვდეთ, ანდა მგლისფერი ძალია.



მელაპუღას საბაქონსფრო ცდომანი

ცხარე ცრემლებს ღვრის მელაპა, მომეცარაო ხელია, ვერც თავის სორო ვიპოვე, ვერც საქათმეში ხვრელია. რა ჭირად ამოვიჩემე ამაღამ ვახშმად ვარია, რად განსაცდელში ჩავაგდე მამისა ჩემის გვარია?! ვერ გამოვთვალე, რატომღაც, თურმე დღე მელის ავია, ჩემისა დაუდევრობით ხაფანგს შევწირე თავია. ხემან თქვა: – ჩემი ამბავი, აქო რა მოსატანია, ცული ვერაფერს მიხამდა, ჩემი არ ეგოს ტარია. რაც მოხდა, მოხდა, გახსოვდეს, დრო მოვა, შენც გაგყდიან, დმერთმა სუყველას შეუნდოს, გულწრფელია თუ ფლიდია... ფხიზლად იყავით მაინცა, რადგან ცდუნება დიდია, გახსოვდეთ, წინა კაცი რომ უკანა კაცის ხიდა!

ღაიფივლე, მათალი!

ვაჟღირალებ ბჟოლის ფანდურს, სიმებს ვუწყოთ გიტარას, და ძველებურ ჰანგს გაგმდერი, სიმემ რა მოგიტანა... შიგადაშიგ, ახალ ლექსის ვახშიანებ სტრიქონებს, მულო, შენ გეუბნები და რძალო, შენ გაიგონე! თუმცა სევდამ მაინც დამხრა, დამთრგუნა და მადონებს, უდაბნოსა შიგან ახლა არც მოქმელი, არც გამგონე. შეფერნილო შექერის ღობეს თავქოჩორა მამალო, როცა წუხს და მტკივა გული, არ ეგების დაეძალო. თუ ხარ ქვეყნის მშენებელი, ბუმ რა გინდაც იყვოლო, შეფერთხაღდე უნდა ისევ, ძველებურად იყვოლო. გაათენო ეტ ტყე ბნელი, უნდა, კვლავ მამრიალო, ისევ ისევ, ძველებურად, იფეთქო და იალო.

ტყის მცველის რჩევა ბინადართ

ამინდის შეცვლას ყოველთვის წინასწარ გრძობენ ტურები, სხვები კი მაშინ, როდესაც გადაბრუნდება ურემი. ჩემი ფინია, გომავი მთელი დამ მოვარეს უყეფავს, დათუნია კი ცუნდრუკი არ იცის და არც უხდება. ის ყველა წყნას ყოველთვის, გულში იხვევს და ინისლავს, სულ მუდამ ფხიზელი არი, მით უფრო ზამთრის ძილისა. მიტომაც არის საშიში, და უფრთხის ცაც და ქვეყანაც, ხომ გახსოვთ, რომ საკუთარი, ბელიც რომ შემოეჭამა. მიტომაც გირჩევთ, ერთთავად თვალში ნუ გაეჩინრებით, ნურც სიყვარულით მისდამი, ნამეტურ გადაირევი. მაშინაც არ შეიმჩნიოთ, ჩამოგვიაროს გვერდით რომ, თორემ ისეთ დღეს დაგაყრით, საკუთარ დედამ ვერ გიცნოს.

ღტოლპილი ტურირის ნიანგის ცრემლები

მენატრება ჩემი ტყე, ლაპარაკი რაზეა, მენატრება, არადა, ხელისგაწვენენაჟა. ჩემს სამყოფელ-სადარდელს მომწვეთებს და გამწირეს, უნებლიე ცოდვისთვის რად სჯით ჩემს სიყმაწვილეს?! მაშინ ტყის განაპირას ვერთობოდი როდესაც, ჩემდა გასაკვირვებლად ტკაცატკუცი მომესმა. თუმცა ხშირად ვერ ვარჩევდი, გარეულს და ჩემიანს, კოცონი რომ მიხდოდა, ცეცხლი გამიჩენია. გამიკვირდა მეც, ძმებო, (მგონი ცოტას ვპოეტობ) ახალთახალ პიჯკშიც კვეს-აბედი რომ მდლო. ტყეში ცეცხლის გაჩენა, არც ახლა და არც მაშინ, გულშიც არ გამივლია, იყო მხოლოდ თამაში. გითხოვთ, შემინდოთ, უნებურ თუ რამ ჩამიდენია, მე ხომ თქვენს გულისთვის ცრემლიც ბევრი მდენია.

ილია ლაგვიშვილი

იუბილე

ციფხების ეოხიანტელში გატახებული წლები

ლევან გაბუნია

იუბილარია ამ დღეებში ჩვენი რაიონის ინტელიგენციის ბრწყინვალე და თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბატონი გურამ პლატონის ძე ლეთოდიანი.

ზონის რაიონში დაიბადა იგი. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სრულიად ახალგაზრდას წელიწადის (ზონი) რაიონის საგემო კომისიის თავმჯდომარედ ნიშნავენ.

მომდევნო წლებში ბატონი გურამი სამტრედიამი დამკვიდრდა. სხვადასხვა წლებში იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რეინიგზის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი, რაიონის ინსტრუქტორი და ა. შ. ათეული წლების განმავლობაში კი სათავეში ედგა სამტრედიის საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრსა და სტატისტიკის რაიონულ განყოფილებას. სწორედ ამ თანამდებობაზე წარმოჩნდა სრულად ბატონი გურამის, როგორც ნიჭიერი ორგანიზატორისა და კვალიფიციური პროფესიონალის თვისებები და შესაძლებლობები.

საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ, თუ როგორი ფურადლება ეთმობოდა საყოველთაო საკავშირო აღწერის კამპანიის ჩატარებას (ყოველ 10 წელიწადში ერთხელ ტარდებოდა). სტატისტიკის სამსახურის უფროსად ბატონი გურამის მუშაობის პერიოდში სამჯერ ჩატარდა საკავშირო აღწერა და თითოეულ ჯერზე უმთავრესი სამუშაო (სამტრედიამი) სწორედ ამ სამსახურზე და მის თავკაცზე გადავიდა.

სისხლსავე ცხოვრება ჩქეფდა სამტრედიამ. ციფხების კორიანტელში გახლდათ ბატონი გურამიც სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე. ყველაფერი კი საოცარ სიზუსტეს, ობიექტურობას, მიუკერძოებლობას მოითხოვდა. ცენტრალური თუ რესპუბლიკური უწყებებიდან ბატონი გურამის სახელზე სხვადასხვა წლებში გაცემული ჯილდოები მათი მფლობელის პიროვნულ, პროფესიულ ღირსებებზე მეტყველებს. წლების მანძილზე გახლდათ ბატონი გურამი ადგილობრივი გაზეთის ერთ-ერთი ხშირი ავტორი. შეიძლება ითქვას, სტატისტიკის განყოფილება და მისი თავკაცი არასოდეს ყოფილან შორს მედიისაგან, აუცილებლობა და საჭიროება იყო საამისო იმ წლებში. არაერთხელ გვინახავს გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქვეყანაში ურთულესი ყოფა იყო, ხონიდან სამტრედიამი და პირიქით, ველოსიპედით მომავალი ბატონი გურამი. უჭირდა ქვეყანას, საქმეს კი, საქმეს არ ევალატებოდა, აკი არც უღალატებია. ვინც თვალს გაადევნებს სხვადასხვა

წლებში “სამტრედიის მაცნეში” გურამ ლეთოდიანის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებს, წერილებს ნათელი წარმოდგენა შეექმნება, თუ როგორ ცხოვრობდნენ სამტრედიელები და სამტრედიამი. გარდა ამისა, თითოეული წერილი დიდ სამსახურს გაუწევს რაიონის ისტორიის კვლევით დაინტერესებულთ, განსაკუთრებით ახალგაზრდებს.

მშვიდად, ოჯახურ გარემოში ატარებენ წლებს ბატონი გურამი და მისი მეუღლე, მრავალი თაობის აღმზრდელი, ქალბატონი აზა მელქაძე. მოსაგონებელი, გასახსენებელი ორივეს ბევრი აქვთ.

ყო წლები წინსვლისა, წარმატებისა და იყო ძნელებლობის, ბევრის ხილზე სიარულის ჟამიც. ამჟამად გაიარეს ცხოვრების ბევრის ხილზე ქალბატონმა აზამ, ბატონმა გურამმა. უქმად არც ამჯერადაა ბატონი გურამი, გამოსაცემად ამზადებს წიგნს, რომელიც უეჭველად საინტერესო იქნება, რამეთუ დაბრძანებული, ცხოვრების

ყო წლები წინსვლისა, წარმატებისა და იყო ძნელებლობის, ბევრის ხილზე სიარულის ჟამიც. ამჟამად გაიარეს ცხოვრების ხილზე ქალბატონმა აზამ, ბატონმა გურამმა. უქმად არც ამჯერადაა ბატონი გურამი, გამოსაცემად ამზადებს წიგნს, რომელიც უეჭველად საინტერესო იქნება, რამეთუ დაბრძანებული, ცხოვრების



ავ-კარგის მნახველი, მტერ-მოყვრის მცნობი კაცის ნაპირები, ნაპრომი იქნება იგი.

8 ათეული წელი ჩამომარცვლა ბატონი გურამის ცხოვრების კრილოსანზე, შრომაში, ძიებაში განვლილი წლები.

სახელოვან იუბილეს გილოცავთ, ბატონო გურამ, თქვენი ცხოვრების შუადღე ყოფილიყო ღირსეულად გატარებული 80 წელი.

გალერეა

იმ წიგნებისათვის ოიროც ცხოვრობს

ლევან გაბუნია

რობერტა “გალერეა” კიდევ ერთი ღირსეული ქართველი, ბატონი ომარ მეტეხეის მასპინძლობა. ვინც მას იცნობს, ძნელად დაიჯერებს, მ ათეული წელი უკან რომ მოიტოვებ. სწორედაც რომ ლამაზი ცხოვრებით განვლილ მან შემოქმედებით, ძიებით, შენებით აღსავსე წლები და, რაღა თქმა უნდა, სათქმელი, მოსაგონებელიც ძალიან ბევრი დაუგროვდა.

შეგვაძლო, “სამტრედიის მაცნეს” მითხვლიათთვის უფრო ახლოს გავგვეცნო ფუტკარივით მოუსვენარი, ახალგაზრდული ენერჯითი აღსავსე ჭარბი კაცი.

სოფელ ღანიში დაიბადა. საშუალო სკოლის შემდეგ ქუთაისის წელიწადის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-გეოგრაფიის ფაკულტეტი, მომდევნო წლებში კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი დამთავრა.

სხვადასხვა წლებში ბატონი ომარ მეტეხე ღანიის საშუალო სკოლის პედაგოგი, სამტრედიის ძაფსახვევ-საგრეზი ფაბრიკის საგემო განყოფილების უფროსი, რაიონის საინფორმაციო განყოფილების უფროსის მოადგილე, რაიონის საინფორმაციო განყოფილების მოადგილე, საგემო კომისიის თავმჯდომარე, ცეკავშირის სამტრედიის საგაგრო-საბითუმო ბაზის დირექტორი (ბაზა დასავლეთ საქართველოს 13 რაიონს ემსახურებოდა). სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამტრედიის №2 ტრესტის ჯერ საგემო განყოფილების უფროსი, ხოლო შემდეგ ტრესტის მართველის მოადგილე გახლდათ.

მისივე ჯიბლაძე, მისივე მექაძე, ვულერინე მეგრელიშვილი, ვალერინე კობალაძეშვილი, ამირან დახუნდარიძე, თალიო მიქაძე, ნოდარ კობრიძე... აი, არასრული ჩამონათვალი იმ ადამიანებისა, რომელთა მხარდამხარაც ბატონ ომარს უხდებოდა მუშაობა და რომელთა შესახებ

აღ ბევრი თბილი სიტყვა თქვა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბატონი ომარი დამსახურებულ პენსიაზე იმყოფება, უქმად მაინც ვერავინ ნახავს, მეტყველება კავშირისა და საზოგადოება “სამტრედიელის” წევრს ოჯახში ფუსფუსი ყველაფერს ურჩევია, ემჩნევა კიდევ მზრუნველი მეურნე კაცის ხელი მის კარ-მიდამოს, სადაც ზამთარ-ზაფხულს, წლის ნებისმიერ დროს საოცარ სიმშვიდესა და სილამაზეს დაუსადგურებია. შეუბას მეგრის შრომა, გვითხრა და გულდაწყვეტით აღნიშნა, როგორც ყველა სოფელში, ღანიშიც დიდი მიგრაცია რომაა. საოცრად გულახდილმა ჩვენმა რესპონდენტმა გაგვიხილა სტალინის პიროვნებას დიდ პატივს რომ სცემს. ჩემს კაბინეტში მისი სურათი ყოველთვის თან მქონდა, გვითხრა და ის უდიდესი სიხარულის წლები გაიხსენა, როცა სტალინის გონივრული პოლიტიკის შედეგად, ის და ყოფილი საბჭოეთის ასიათასობით ახალგაზრდა სწავლის ქირისაგან გათავისუფლდა, რაც დიდი შეება იყო ომგამოვლილი ოჯახებისათვის.

თავისუფალ დროს ჩვენი რესპონდენტი მხატვრულ ლიტერატურასაც უთმობს, გალაკტიონი, ირაკლი აბაშიძე, ლევან სანიაციე, პიუგო... უყვარს მათი ნაწარმოებების კითხვა, ბევრ მათგანს ვინ იცის, უკვე მერამდენედ კითხულობს. ტრადიციების დამცველი და ტრფიალი კაცი ქართული ეროვნული ფოლკლორის დიდი დამფასებელია.

საუბრის ცალკე თემა ბატონი ომარისათვის ოჯახი და ოჯახური იდეალია, მისი მეუღლე, სამტრედიელთათვის საყვარელი და მარად ფხიზელი ექიმი, ქალბატონი დალი სულაქველიძე 6 წელია, რაც ამ ქვეყნად აღარაა, დიდხანს იდგა ქალბატონი დალი სამტრედიელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე.

ბატონი ომარისა და ქალბატონი დალის ერთადერთი ქალიშვილი სოფიო მეტეხე ექიმი ენდოკრინოლოგია, სიძე გოგა მაჭარაშვილი კი ნეიროქირურგი, სოფიოსა და გოგას 2 შვილი ჰყავთ.

შეუძლებელია ისაუბრო ბატონ

ომარ მეტეხე და არაფერი თქვა მის მიერ წარმატებით შესრულებულ იმ საქმეებზე, არა მარტო მას, რაიონს რომ მოუტანა აღიარება.

1973 წელია, საბჭოეთის ლიდერი ლეონიდ ბრეჟნევი და საფრანგეთის პრეზიდენტი ჟორჟ პომპიდუ ერთმანეთს პიცუნდაში ხვდებიან. სამტრედიის რაიონის ხელმძღვანელობამ, ბატონ ომარს დაავალა ეხელმძღვანელა სამტრედიის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებსათვის, რომელთაც გაგრამში მოწოდებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

რაიონმა წარმატებით გაართვა თავი ყველაფერს. ელუარდ შევარდნაძისაგან რაიონის თავკაცებმა (ნოდარ რუხაძე, ამირან მანჯგალაძე) და მათგან ბატონმა ომარმა დიდი მადლობა დაიმსახურეს.


გასული საუკუნის მიწურულს, ბატონი ომარი გახლდათ ერთ-ერთი პირველი ვინც სამტრედიამი არასამთავრობო მეგროსაფინანსო ორგანიზაცია “საერედიტო კავშირი” ჩამოაყალიბა.

არასამთავრობო სამშენებლო ორგანიზაცია “ღანიის ერთობას” თავმჯდომარეობისას კი ღონიერი ორგანიზაციებიდან (სსიფ, ქეა) მიღწეა დაფინანსების მიღებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ღანიის საშუალო (2000 წელს) და ჭაგინის არასრული საშუალო (2003 წელს) სკოლების სრული რეაბილიტაცია.

ჩუმი, უხმაუროდ დადის ჩვენი ქალაქის ქუჩებში ჭარბი კაცი, გულთ მოყვასისა და მშობელი ხალხის სიყვარულს თან რომ დაატარებს. მას სიამაყით შეუძლია ითქვას, როცა განვიღო დროს გაადევნებს გონების თვალს – იმ წლებისთვის ღირდა ცხოვრებაო.

ზანგრძლივ სიცოცხლესა და ოჯახის კეთილდღეობას ვუსურვებთ ბატონ ომარ მეტეხეს მრავალრიცხოვან მეგობართა და კეთილისმსურველთა გასახარად.

სწრაშიმ: ომარ მეტეხე მეუღლესა და შვილთან, შვილიშვილებთან, კაბინეტში მუშაობისას



ცოცხალი ხამ ეხმაროზ ჯაღაძის შესახებ

საზოგადოებისთვის ერთობ საინტერესოა იმ ადამიანთა ლეგენდები და განვლილი გზა, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ამ მხრივ საინტერესოა დამფუძნებელი კრების წევრის, ერმალოზ კალაძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ერმალოზ თედორეს ძე კალაძე დაიბადა 1888 წელს, ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის ეწრის თემის სოფელ ოჭოფაში, გლეხის ოჯახში. საბავსო განათლება მიიღო ოჯახსა და სოფლის სასწავლებელში.

1905 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის "მენშევიკების" ფრაქციის წევრი. მეფის რეჟიმის დროს დაპატიმრებული იყო პოლიტიკური საბაბით. 1917 წლამდე მუშაობდა ამიერკავკასიის რეინიგზის სახელოსნოებში ზეინკლად. მსახურობდა არმიამში რიგით ჯარისკაცად. 1919 წლის 12 მარტიდან არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სო-

ციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. იყო გზათა კომისიის წევრი, ის აქტიურად იყო ჩაბმული კომისიის მუშაობაში. ყოველივე ამას ამტკიცებს გაზეთ "ერთობაში" 1920 წელს გამოქვეყნებული სტატია, რომელიც გვაუწყებდა: "დამფუძნებელი კრების წევრები ბატონი პავლე წულაია (პავლე წულაია და-


აძე გზათა კომისიის დავალებით გაგზავნილი იყვნენ ოსეთის სამხედრო გზის და საქართველოს სამხედრო გზატკეცილების დასათვალთვრებლად. დეპუტატები სექტემბრის 14-ს დაბრუნდნენ თფილისში. დეპუტატებს დავალებული აქვთ აგრეთვე დათვალთვრება საქართველოს დანარჩენ გზატკეცილებისა. მუშაობის



იბადა 1882 წელს ხუნჯულაურში, ქუთაისის მაზრა. გარდაიცვალა მარტში. 1943 წელს ციმბირში, კემეროვოს ოლქში) და ერმალოზ კალ-

დამთავრების შემდეგ დეპუტატები წარუდგინენ მოსხენებას გზათა კომისიას".

1917-1921 წლებში ის იყო საქართველოს სახალხო გვარდიის შორანის შტაბის წევრი. 1921 წლის იანვარში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სხვა 11 წევრთან ერთად ჩამოაყალიბა ოპოზიციური ჯგუფი "სხივი", რომელიც აკრიტიკებდა პარტიას იდეური პრინციპების დარღვევის, სახელმწიფო მმართველობის წარუმატებელი კურსისა და პარტიაში შიდა დემოკრატიის შესუსტების გამო. 1921 წლის იანვარში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის ორგანიზაციების კონფერენციაზე "სხივის" ჯგუფს უმრავლესობამ მოსთხოვა და-



ეცვა პარტიული დისციპლინა და შეეწყვიტა საკუთარი პარტიის ღია კრიტიკა გაზეთ "ახალი სხივის" ფურცლებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გაირიცხებოდნენ პარტიიდან. საპასუხოდ, სხიველთა ჯგუფმა, დამფუძნებელი კრების 1921 წლის 11 თებერვლის სხდომაზე საჯაროდ განაცხადა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დატოვების და "დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია "სხივის" შექმნის შესახებ, რომელმაც ცალკე ოპოზიციური ფრაქცია შეადგინა დამფუძნებელ კრებაში.

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ, ის დარჩა საქართველოში და ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში.

ერმალოზ კალაძე კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით 1923 წლის 11 მაისს, საკუთარ სახლში, ახლობლებთან – სონია ბართლომეს ასულ ტორონჯაძეს, გერასიმე დიანოზის ძე კალაძესა და გერასიმე ნიკოლოზის ძე ახობაძესთან ერთად დააპატიმრეს. ერმალოზ კალაძემ დაკითხვისას განმარტა, რომ დამფუძნებელი კრების წევრობისას

ეწინააღმდეგებოდა მთავრობის ქმედებებს და პარტიის დატოვების განცხადებაც ჰქონდა დაწერილი, რის გამოც თანაგუნდლებმა პარტიიდან გარიცხეს და მოლაღატედ გამოაცხადეს. მას შემდეგ კი პოლიტიკაში აღარ მონაწილეობდა.

1923 წლის 15 აგვისტოს დამფუძნებელი კრების დეპუტატებმა, "სხიველებმა" – ერმალოზ კალაძემ და აპოლონ სულაქველიძემ – პრესაში განაცხადეს, რომ მათ დიდი ხანია კავშირი ჰქონდათ გაწყვეტილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან და დადებითი შეფასება მისცეს "ყოფილი მენშევიკების" მოძრაობას.


განცხადების გაკეთებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ერმალოზ კალაძე გაათავისუფლეს პატიმრობიდან. შემდგომ წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა მშობლიურ სოფელში. გარდაიცვალა 1958 წლის 12 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე. დაკრძალეს 21 დეკემბერს ეწრის სასაფლაოზე.

ძრავლი მატყაშარიანი

წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლუჯავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგი

ჩვენი შოხეუდი ახლობელი

"ვინც უცხო სტუმარს პატივს სცემს, პატივს დებს თავის სახელსაც, ბრძანებდა დიდი განმანათლებელი"
გუგუნიძე



საქართველოდან შორს, ქალაქ კიროვსკში დაიბადა (მურმანსის ოლქი). სმოლენსკის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ორიოლის საოლქო საავადმყოფოში.

1977 წლიდან ბატონი იური პოგორელსკი საცხოვრებლად სამტრედიის ჩამოღის და სიცოცხლის ბოლომდე აქ ეწეოდა პროფესიულ მოღვაწეობას. რაიონული პოლიკლინიკის ექიმი ონკოლოგი, შეთავსებით პათოლოგანატომიდაც მუშაობდა.

მალე შეიყვარეს სამტრედიელებმა იური ექიმი, რომელიც ექიმთა საზოგადოებაში, ინტელიგენციას შორის უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. პირადად მე, ბატონი იური ჩვენი გაზეთის ერთ-ერთმა აქტიურმა კორესპონდენტმა, საქართველოს დამსახურებულმა ექიმმა, ბატონმა გენო გეგეშიძემ გამაცნო. დიდი ხნის ნაცნობივით თბილად მესალმებოდა მას შემდეგ ყოველი შეხვედრისას.

ბატონ იურის არაერთხელ განუცდია გამოჯანმრთლებულ პაციენტთა სამადლობელით გამოწვეული უდიდესი სიხარული, ყველა მედიკოსისათვის ნებისმიერ ჯილდოზე აღმატებული რომ გახლავთ. ბრწყინვალე ოჯახის თავკაცი, ქართველებსა და საქართველოზე, მისთვის მშობლიურად ქცეულ სამტრედიის შეყვარებული ჩინებული ექიმი იმ ასაკში აღესრულა, კიდევ დიდხანს რომ შეეძლო მხსნელად მოვლენოდა სხვათა სიცოცხლეს, მაგრამ...

ყოველად შეუძლებელია, სამტრედიელმა კაცმა გაიხსენოს ამ ქვეყნიდან წასული მედიკოსები და მათ რიგებში არ გაიფიქროს იური პოგორელსკის, იური ექიმის გვარ-სახელმა.

75 წლისა გახდებოდა ამ დღეებში იგი.

ნათელში იყოს!

ლევან მატყაშარიანი

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ეკა სანიციძეს და აკაკი ლევიძეს ბების, ქალბატონი **ლიანა ხაჭალია-ნიკოლეიშვილის** გარდაცვალების გამო.

საზოგადოება "სამტრედიელი" თანაუგრძნობს ზაზა ნიკოლეიშვილს დედის, ქალბატონი **ლიანა ხაჭალია-ნიკოლეიშვილის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ზაზა ნიკოლეიშვილს დედის, ქალბატონი **ლიანა ხაჭალია-ნიკოლეიშვილის** გარდაცვალების გამო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო თანაუგრძნობს ზაზა ნიკოლეიშვილს დედის, ქალბატონი **ლიანა ხაჭალია-ნიკოლეიშვილის** გარდაცვალების გამო.

ამჯერადაც გვასახელეს

დიახ, ამჯერადაც გვასახელეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ივანე კილატავა) კინგბოქსინგელებმა.

ამას წინათ ბათუმში გამართულმა საერთაშორისო ტურნირმა კინგბოქსინგში, “შავი ზღვის თასი” 8 ქვეყნის წარმომადგენლებს უმასპინძლა.

ტურნირში სამტრედიელი კინგბოქსინგელებიც მონაწილეობდნენ, მწვრთნელ-მასწავლებლის, კობა კეკელიძის ხელმძღვანელობით. ერთობ ნაყოფიერი აღმოჩნდა ტურნირი სამტრედიელი სპორტსმენებისათვის, პირველი ადგილი გიორგი კვანჭიანიმა, მეორე – ზვიად კვანჭიანიმა, გაბრიელ კალაძემ, ლუკა კოპალეიშვილმა და ლადო არჩაიამ დაისაკუთრეს, მესამე ადგილზე კი ლუკა კეკელიძის და ავთანდილ კოპალეიშვილი გაეიხივნენ.



ტურნირზე მწვრთნელ-მასწავლებელმა, კობა კეკელიძემ იასპარეზა, მან პირველი ადგილი არავის დაუთმო.

კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით ტურნირში მონაწილე წარმატებული სპორტსმენები დიპლომებით, მედლებით დაჯილდოვდნენ. ამჯერად მომავალი ასპარეზობისათვის ემზადებიან სპორტსმენები.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას თავად ახალგაზრდა კაცზე, სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელზე, კობა კეკელიძეზე, მის მრავალმხრივ სპორტულ შესაძლებლობებს რომ უკავშირდება.

არცთუ დიდი ხნის წინ, კობამ ისევ ბათუმში გამართულ საერთაშორისო მარათონში, სადაც მსოფლიოს 49 ქვეყანა იყო წარმოდგენილი, 21,1 კილომეტრ დისტანციაზე წარმატებით იასპარეზა, უკან ჩამოიტოვა 960 მონაწილე და შეიდეულში მოხვდა, რაც შეეხება 10 კილომეტრიან დისტანციას, იგი კობამ პირველმა დაძლია. მედლითა და ფასიანი საჩუქრებით აღინიშნა მისი ეს მიღწევა.

კვლავ წარმატებებს ვუსურვებთ მომავალ ასპარეზობებში სამტრედიელ კინგბოქსინგელებს, მათ მწვრთნელს, კობა კეკელიძეს გულშემატკივართა გასახარად.

ლევან ბაბუჩავა



შპსპურთი

ევროტურნირების დაწყების წინ

18 ივნისს შვეიცარიის ქალაქ ნიორში მდებარე უეფას შტაბბინაში გაიმართა უეფას ჩემპიონთა ლიგისა და უეფას ევროპის ლიგის 2019-2020 წლების სეზონის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპების კენჭისყრა.

უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ჩემპიონი თბილისის “საბურთალო” შეხვდება მოლდავეთის “შერიფს”.

უეფას ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართული ფეხბურთის ფლაგმანის – თბილისის “დინამოს” მეტოქე სან მარინოს “ლა ფიორიტასა” და ანდორის “ენგორდანს” შორის გამარჯვებული იქნება. ქუთაისის “ტორპედო” ყაზახეთის “ორდაბასს” შეხვდება. ხოლო საჩხერის “ჩიხურა” ლუქსემბურგის “ფოლა ეშს” დაუპირისპირდება.

უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები 9-10 და 16-17 ივლისს, ხოლო, უეფას ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები 11-18 ივლისს გაიმართება.

ირაკ ნიკოლეიშვილი



შენ ბავშვობიდან მიმე დრო გერგო, თუმც ახლა შენზე ზრუნავს პარტია, რაც უნდა მლანძლო, დედა მაგინო, რუსეთი მაინც ოუპანტია.

კულოცავთ!

თოფის ხმამ გამოგაფხიზლა მეზობლები 1 ივლისს, ნაშუადღევს. ბიჭია, ბიჭია... ბაკურაძეების ოჯახში ბიჭი დაიბადა, გაისმა მზიარული გადაძახილი, მერე კი, მილოცვები, წრფელი, ალალი...

უდიდესი სიხარულითა და სიყვარულით ვულოცავთ ლინა და ბაკურ ბაკურაძეებს ვაჟიშვილის დაბადებას.


სასახელო ქართველად აღზრდილიყოს პატარა მალხაზ ბაკურაძე, რომელსაც მოუთმენლად ელოდა პატარა დაიკო, თვალეებრივად ბარბარე.

ლევან ბაბუჩავა

ანასტასია მუჰარიშვილს!

ბებოს სიხარულო, ჩემო მანათობელო სხივო. გაიზარდე განათლებული, მცოდნე, ჭკვიანი, დამთმობი, კეთილი. შეგძლებოდეს შავისა და თეთრის გარჩევა. გიყვარდეს შენი სამშობლო, კუთხე, სადაც დაიბადე და გაიზარდე. იყავი ღირსეული ქართველი ქალი!

ნაილი ბაბო



რედაქციის მისამართი: საპარალიმპიკი, რუსუბლიკის ქ. №6 ტელ: 599 02 41 11



- დირექტორი ბაქან გოგია
- მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭილიძე
- გამომწვები რედაქტორი თეა ბაგუნაშვილი
- პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუჩავა
- კომპიუტერული ვრაფიკა მამა პაპაშა